# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 2 აპრილი 2007 №71 (2994) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# შაბათის ორი კითხვა ორშაბათს



ბადრი ვადაჭკორიას ფოტო





## პროტესტი სტანდარტული და არასტანდარტული

### კახა ცხადაძე: იყო პენალტი?

### თემურ მახარაძე: ეს კარი სახლისაა თუ ფეხბურთის?

ალიაქოთით სავსე გამოდგა მეთვრამეტე ტური და საიდან დავიწყოთ? გამორჩეული თამაში „დინამო“ — „სიონი“ იყო, რომელიც დუშან უჰრინის გუნდმა მატჩის ბოლოს გატანილი პენალტით მოიგო, მაგრამ საქმეც უფრო ამ პენალტს და კიდევ ორ ეპიზოდს ეხება — მსაჯმა ჯერ ბოლნისელი ლევან კორღალიძის გოლი გააუქმა, მერედ კი ვიტალი დარასელიას დინამოელთა საჯარიმოში წაქცევას წაუყრუა. „სიონი“ პროტესტის შეტანას აპირებს, კლუბის ხელმძღვანელობამ ამის შესახებ ნამატჩევსვე განაცხადა.

„ზესტაფონმა“ „ჩიხურას“ ვერ მოუგო და, როგორც ფეროელთა ხელმძღვანელობა ამბობს, მიზეზი გორის „ქართლის“ სტადიონზე კარის არასტანდარტული ზომა ყოფილა — ბარემ, მინი-მოედანზე ვითამაშოთ და ეგ არისო. დღეს ფედერაციაში „ზესტაფონის“ საჩივარიც შევა.

სხვა რა? „ამერმა“ „ბორჯომში“ წააგო, რვა ქულით ჩამორჩა ლიდერ „ოლიმპს“ და ძალიან სათუო გაუხდა საჩემპიონო პერსპექტივები. გამოსარჩევია გორის „დილას“ პირველი საამსეზონო მოგებაც — ქართლელებმა საცოდავ დღეში მყოფ „ტორპედოს“ სძლიეს.



## მარადონას ღმერთის ხელი ახლა სჭირდება


1 აპრილიდან კომპანია „ქართული ჩოგბურთი" აცხადებს ბავშვთა მიღებას 6 წლის ასაკიდან. იან ჰომერის სახელობის საჩოგბურთო კომპლექსში თქვენ სპორტის ამ სახეობის ანბანთან გაცნობაში პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები დაგეხმარებიან. ადგილები შეზღუდულია. ჯგუფების დაკომპლექტება 31 მარტამდე.

მისამართი: ლუბლიანას 18; ტელ: 54 00 77; 54 00 39


## ზიზუ დედამიწის მეორე მხარეზე

### ვისაც ევროპაში უღალდება, ამერიკაში უთენდება?

არ გვეგულება ქვეყნად კაცი, რომელსაც დიდი ზინედინ ზიდანის მოედანზე ხილვა არ უნდოდეს.

ამის ახდენა, ანუ ფეხბურთიდან წასული ზიზუს მობრუნება ყველას არ ძალუძს, მაგრამ, კიდევ კარგი, არსებობს ხალხი, რომელთაც ეს შეუძლიათ და, რაც მთავარია, ფიქრობენ და მუშაობენ ამის გასაკეთებლად.

ამერიკული „ლოს ანჯელეს გალაქსი“ დიდ ტრანსფერზე ფიქრობს — დიდი შანსია, დიდი ზინედინ ზიდანი ფეხბურთს დაუბრუნდეს და ამ კლუბის მაისურა მოირგოს.

ფეხბურთის ლეგენდამ ამერიკელთა წინადადება უკვე იცის — ერთწლიანი კონტრაქტი სოლიდური გასამრჯელოთი. ფრანგს უარი არ უთქვამს და ახლა ყველაფერი მის საბოლოო პასუხზეა დამოკიდებული.

მსოფლიო ფეხბურთი ახლა დასავლეთს შეჰყურებს: რას იტყვის ზიზუ?





დევიდ ბექჰემი და ზინედინ ზიდანი: ისევ ერთად?

# იაშვიც იუფაძეა და შოთაც

## თავისი აშვეთიამ და გიგიაძემაც გაიტანეს



– შოთა არველაძემ მეთოთხმეტე ერედივიზიონული გოლი შეაგდო და მისი „ალკმაარი“ ლიდერ პსვ-ს ხუთით, მეორეადგილოსან „აიაქსს“ კი ორი ქულით ჩამორჩება. შოთას გუნდს ხელსაყრელი კალენდარი კი დარჩა, მაგრამ ოთხ ტურში თუნდაც ხუთი ქულის გაბათილება ძალიან საეჭვოა. არველაძემ 24-ე წუთზე გახსნა ანგარიში და 65-ეზე შეცვალეს — „ალკმაარმა“ შინ 2:0 სძლია „ვალვაიკს“.

ტრავმიანი *ზურაბ ხიზანიშვილის* გარეშე მოთამაშე „ბლექბერნი“ მე-60 წუთამდე 1:0 იგებდა „ოლდ ტრაფორდზე“ „მანჩესტერთან“ და „ჩელსის“ გულს უხარებდა, თუმც „ეშმაკებმა“ ბოლო ნახევარ საათში ოთხი გოლი გაიტანეს.

*ლევან კობიაშვილმა* სრულად ითამაშა მიუნხენში „ბაიერნთან“ 0:2 წაგებულ მატჩში. კობიმ ერთხელ სახიფათოდ უპასა კევინ კურანის, რომელმაც რეალური შანსი განიავა, მოლიანობაში კი ჩვენიანი გამორჩეული არ ყოფილა. „შალკეს“ დამუხრუჭებით ვერ ისარგებლა „ვერდერმა“ — „კოტბუსთან“ ოდენ ქულა აიღო და „ხუმარები“ ორქულიანი ჰანდიკაპით ლიდერობენ ბუნდესცხრილს.

მეორე ბუნდესლიგაში ექსპრესივით მიჰქრის „ფრაიბურგი“ და ცხრილის შუიდან აგერ უკვე მესამე-მეოთხე ადგილებზე აინაცვლა. „ფრაიმ“ სტუმრად 2:0 აჯობა „ბრაუნშვაიგს“, მეორე გოლი კი 75-ე წუთზე *ალექსანდრე იაშვილმა* გაიტანა პენალტით. ეს „იაშის“ მერვე საამსეზონო გოლია, „გოლი პლუს პასის“ ჩათვლაში კი ჩვენიანი კვლავ კარლსრუეელ ფედერიკოს ჩამორჩება. იაშვილმა 90 წუთი ითამაშა, *ოთარ ხიზანეიშვილს* კი ტრავმის გამო არ უბურთავია.

*დავით სირაძემაც* შეუცვლელად ითამაშა სტუმრად „აუგსბურგთან“ 0:3 წაგებული მატჩი, თუმც ანგარიშიდანაც ჩანს, რომ ხეირიანად არ გარჯილა. აუე-ს მაინც აქვს ბუნდესლიგაში აღზევების შანსი.

ტრავმის შემდეგ მინდორს დაუბრუნდა *მათე ღვინიანიძე*, ვინაც „ესენ“ — „მიუნხენ 1860“-ის მატჩში ბოლო ათი წუთი ითამაშა. ღვინიანიძემ და „ლომებმა“ 2:0 კი მოიგეს, თუმც ცხრილის შუაგულს ვერ ასცდნენ.

*გიორგი ლომაია-მიხეილ აშვეთიას* „კარლ ცაისმა“ შინ 1:2 დათმო „ჰანზასთან“ და მე-14 საფეხურზე დარჩა, გასავარდნ ზონაში კი ქულა-ქულაზეა ბრძოლა და იენელებს დიდი ოფლისღვრა მოუწევთ გადასარჩენად. „ჰანზას“ კარში კი ერთადერთი გოლი სწორედ აშვეთიამ შეაგდო 85-ე წუთზე — ამ გოლით ანგარიში 1:1 გახდა, მაგრამ სტუმრებმა ერთ წუთში მოახერხეს ლომაიას მეორედ დამწუხრება. ორივე ჩვენიანმა სრულად ითამაშა.

„მილანმა“ „სტადიო ოლიმპიკოზე“ 1:1 ითამაშა „რომასთან“ და მეხუთე ადგილი „ემპოლის“ გადაულოცა. ახალტრავმამოშუშებული *კახა კალაძე* სათადარიგოებშიც არ ყოფილა, თუმცა, ვინ იცის, იქნებ ხვალ „ბაიერნთან“ საჩემპიონთალიგო შეხვედრაში გამოჩნდეს.

რუსეთში ნალჩიკის „სპარტაკმა“ კრასნოდარში 2:2 ითამაშა „კუბანთან“: *ალეკო ამისულაშვილმა* შეუცვლელად ითამაშა და ყვითელი ბარათიც მიიღო, *ლევან გვაზავა* კი 77-ე წუთიდან შევიდა მოედანზე. ეს იყო და ეს — სხვა ქართველები რუსული პრემიერლიგის ტურში არ გამოჩენილან... *მალხაზ ასათიანი* კვლავ ინდივიდუალურად ვარჯიშობს, *გოჩიტა გოგუას* ტვინის შერყევა აქვს, *ლაშა სალუქვაძე* და *ნუკრი რევიშვილი* სათადარიგოებში იყვნენ, *დავით მუჯირმა* კი ვიზასთან დაკავშირებული პრობლემების გამო დროულად ვერ მოახერხა სამარაში ჩასვლა.

ერთი ქართული გოლი უკრაინაშიც გამოერია — *ვასილ გიგიაძემ* ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“ მეათე საამსეზონო ბურთი შეაგდო და ბომბარდირებში ერთპიროვნულად დაწინაურდა. მანამდე კი ვასომ პენალტი გააცუდა — მეკარემ აუღო. „კრივბასი“ შინ 1:1 გაეყარა ზაპოროჟიელებს. მასპინძელთაგან გიგიაძემ და *ლადო ბურდულმა*, სტუმართაგან კი *დავით კვირკველიამ* სრულად ითამაშეს, კვირკველიას თანაგუნდელი *ირაკლი მოდებაძე* კი განაცხადშიც არ იყო. გიგიაძემ 82-ე წუთზე მეკარის მიერ მოგერიებულ ბურთს დაამატა და ანგარიშიც ასე გაათანაბრა.

*ლაშა ჯაკობიამ* 76 წუთი ითამაშა „დნიპროსთან“ (1:1), თუმც მატჩის ონლაინ-რეპორტაჟში ჩვენიანის გვარი საერთო არ ფიგურირებს. დნეპრისპირელთაგან კი არც *ჯაბა კანკავას* უთამაშია და არც *რევაზ ბარაბაძეს*.

*გიორგი ჭელიძის* ლუგანსკის „ზარია“ შინ 0:4 განადგურდა ოდესის „ჩერნომორეცთან“. „პაჭელომ“ ბოლო 22 წუთი იბურთავა, ოდესელთა *ილია კანდელაკი* კი სათადარიგოთა სკამიდან არ წამომდგარა.

ასევე სათადარიგო იყო „ილიჩევეცის“ მცველი *გიორგი ციმაკურიძე*, მისმა გუნდმა კი მშვენიერი საჩუქარი გაუკეთა კიევის „დინამოს“: „შახტარს“ ორი ქულა დააკარგვინა — 1:1.

**ილია ნანობაშვილი**



ვასილ გიგიაძე

# მენთეშაშვილი: ვენტსპილსის ჯერია

**უკვე** რამდენი თვეა, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ზურაბ მენთეშაშვილი უგუნდოდაა და, როგორც ჩანს, ამას წერტილი დაუსვა — მენთეშაშვილი ლატვიურ „ვენტსპილსში“ გააგრძელებს კარიერას, ლატვიური პრესა წერს, ტრანსფერი გადაწყვეტილი ამბავიაო.

„ვენტსპილსი“ ქვეყნის ჩემპიონია და ამჯერადაც ამბიციურად ეგებება სეზონს. ზურაბისთვის „ვენტსპილსი“ მეორე ლატვიური გუნდი იქნება: მას კარიერის უმეტესი ნაწილი „სკონტოში“ აქვს გატარებული.

**ილია ნანობაშვილი**



## საქართველოს ჩემპიონატი
### პირველი ლიგა
### II წრე. 24 ტური

გაგრა 1:1 ზესტაფონი 2
მესხეთი 3:0 რაჭა
ნ. დინამოელი 0:0 ამერი 2
მერცხალი 0:0 ჩიხურა 2
დინამო 2 1:0 სპარტაკი
მაღაროელი 1:0 მგლები
სამტრედია 0:0 ვიტ ჯორჯია 2
მეშახტე 0:0 გურია
ოლიმპი 1:0 მეშაქრე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მგლები | 23 | 17 | 2 | 4 | 38:13 | 53 |
| მესხეთი | 23 | 15 | 4 | 4 | 39:13 | 49 |
| ოლიმპი (თბ) | 24 | 13 | 4 | 7 | 45:24 | 43 |
| მეშაქრე | 24 | 11 | 8 | 5 | 29:20 | 41 |
| ამერი 2 | 24 | 10 | 9 | 5 | 34:26 | 39 |
| მაღაროელი | 24 | 10 | 7 | 7 | 33:26 | 37 |
| გაგრა | 24 | 11 | 3 | 10 | 32:29 | 36 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 24 | 10 | 6 | 7 | 36:21 | 36 |
| დინამო 2 | 24 | 9 | 7 | 8 | 44:24 | 34 |
| სამტრედია | 23 | 8 | 7 | 8 | 23:31 | 31 |
| ნ. დინამოელი | 22 | 9 | 3 | 10 | 30:31 | 30 |
| მეშახტე | 22 | 8 | 5 | 9 | 30:29 | 29 |
| ზესტაფონი 2 | 22 | 7 | 8 | 7 | 22:18 | 29 |
| ჩიხურა 2 | 23 | 6 | 5 | 11 | 21:37 | 23 |
| სპარტაკი | 24 | 6 | 3 | 15 | 13:34 | 21 |
| რაჭა | 22 | 5 | 6 | 11 | 22:37 | 21 |
| გურია | 24 | 5 | 5 | 14 | 23:51 | 20 |
| მერცხალი | 24 | 2 | 4 | 18 | 14:64 | 10 |




7 აპრილი, მე-19 ტური

ოლიმპი - ბორჯომი
მერანი - ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი - ჩიხურა
ზესტაფონი ბათუმი
კახეთი - დიამო (თბ.)
სიონი - დილა

ტორპედო - ამერი
სპარტაკი (ნალჩიკი) - რუბინი
ფრაიბურგი - აუგსბურგი
ფიურტი - კარლ ცაისი
მიუნხენ 1860 - კარლსრუე

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 18 ტური

# იყო პენალტი?

თბილისი. 31 მარტი. 15 საათი. მიხეილ მესხი. 1 000 მაყურებელი

## დინამო 1:0 სიონი

1:0 იაშვილი (90პ)

**დინამო:** გრიშიკაშვილი, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი, ს. კობახიძე (ლ. ნოზაძე 90), ხმალაძე (ხუციშვილი 62), დილმელაშვილი, ფეიქრიშვილი (დ. ოდიკაძე 69), გ. მერებაშვილი, ს. იაშვილი
სათადარიგონი: ლორია; გ. კაშია, ზ. ჯანაშია, სპასოევიჩი
**მწვრთნელი:** დუშან უჰრინი

**სიონი:** მამალაძე, ექონია, ფრიდოლინი, ორბელაძე, ა. ალავიძე, სილაგაძე, სანიკიძე, კორღალიძე (ვ. უგრეხელიძე 82), ლ. ბაჯელიძე (რაქვიაშვილი 46), ვ. დარასელია, ჩასემი (ევოჩე 85)
სათადარიგონი: ბობლიაშვილი; ლ. ჭელიძე, ოქროპირიძე, ბ. ცხადაძე
**მწვრთნელი:** კახა ცხადაძე

**გაფრთხილება:** სილაგაძე (44), დარასელია (69), ალავიძე (90)

**მსაჯები:** დ. ხარიტონაშვილი; ლ. მიქელაძე, ზ. ფიფია; ვ. ელიხაბედაშვილი



**კობა ინასარიძე**

**„ზესტაფონი“** ვერ იგებს, „ამერი“ აგებს... მატჩის ბოლოსკენ „მიხეილ მესხის“ ტრიბუნებზე სატელეფონო ზარებმა და ცნობისმოყვარეობამ იმატა. ქომაგობას „დინამოს“ კონკურენტთა ამბები აინტერესებდა, თუმც მათ თვალწინ ვერც „დინამო“ იგებდა. იგებდა კი არა, ვიდრე თბილისელები იხერხებდნენ, იქამდე თავად წააწყდნენ რამდენიმე პრობლემას.

ბოლნისის „სიონამდე“ კახა ცხადაძე, გეხსომებათ, სწორედ „დინამოს“ თავკაცობდა. ცხადაძემ „დინამოს“ ჩემპიონის ტიტული რომ დაუბრუნა, მერე ამავე შედეგს ბოლნისელებთან ერთად მიაღწია. ამ ამბების გახსენებით კი გვსურს ვთქვათ, რომ კახა ცხადაძის ამჟამინდელი გუნდის მის ყოფილ გუნდთან მატჩი ვერაფრით იქნებოდა ტურის ერთი ჩვეულებრივი შეხვედრა, თამაშს თავისებური ფსიქოლოგიური დატვირთვაც ჰქონდა, რაც მატჩის ბოლოსკენ ცხადაძის ერთობ ემოციური სვლა-ნაბიჯებითაც გამოიხატა — „სიონის“ თავკაცი მსაჯის საფინალო სასტვენს არც დალოდებია და თამაშის მიმდინარეობისასვე გასახდელს მიაშურა. მიზეზი? მსაჯის გადაწყვეტილება, რასაც 90-ე წუთზე „სიონის“ კარში დანიშნული პენალტი და სანდრო იაშვილის სამქულიანი გოლი მოჰყვა. ბოლნისელებმა დავით ხარიტონაშვილის გადაწყვეტილება მოედანზეც გააპროტესტეს და მის მიღმაც — სტუმართა აღშფოთებულმა ხელმძღვანელობამ მატჩის დამთავრებისთანავე იქვე, მეზობლად, ფეხბურთის ფედერაციისკენ გასწია, ხელთ ჩემპიონატის რეგლამენტი ჰქონდათ და საპროტესტო წერილის შესატანად ემზადებოდნენ. ოღონდ ჯერ იმას არკვევდნენ, პროტესტი რის საფუძველზე უნდა დაწერილიყო. როგორც ჩემპიონატის წეს-კანონში წერია, პროტესტი მსაჯის შეცდომებისა თუ დანიშნულ-არდანიშნული პენალტის გამო არ მიიღება.

ეს საკამათო ამბავი „დინამოს“ მეკარის მიერ ბურთის მოგერიებით დაიწყო: სოსო გრიშიკაშვილმა ბურთი მეტოქის ნახევრისკენ დაარტყა. მცველმა მისი უკანვე გადაგდება სცადა, მაგრამ შემტევ იაშვილს მოარტყა (ბოლნისელთა თქმით, ამ ეპიზოდში იაშვილს ბურთი ხელზე მოხვდა), იქვე დავარდნილი ბურთი კი მიხეილ ხუციშვილმა წაიღო მეტოქის კარისკენ, ხოლო საჯარიმოში შესული ორმცველშუა წაიქცა — ხარიტონაშვილმა პენალტი დანიშნა, იაშვილმა აუღებლად დაარტყა. გოლის შემდეგ იაშვილს კიდევ ორჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ აღარ გამოუვიდა, თანაც გოლის შემდეგ აღარც ბოლნისელებს ჰქონდათ თამაშის თავი, მათი მწვრთნელი კი, როგორც გითხარით, ამ დროს გასახდელისკენ მიდიოდა...

„დინამომ“ საგოლე მომენტები პირველ ტაიმშიც გაანიავა. იგივე იაშვილი და გიორგი მერებაშვილი ძალიან ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ ჩინებულად მოთამაშე ზურაბ მამალაძემ არ დაანება. ჯერ იაშვილის თავური მოიგერია, ხოლო შემდეგ მერებაშვილის ორი, ერთმანეთზე სახიფათო დარტყმული გვერდზე გადაავლო. როგორც ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე კახა ცხადაძემ თქვა, შოთა ბაბუნაშვილის არყოფნამ, ვინც „დინამოდან“ „სიონშია“ განათხოვრებული და კლუბებს შორის ურთიერთშეთანხმებით შაბათს არ უნდა ეთამაშა, „სიონს“ მოედნის შუაში პრობლემები შეუქმნა. მისი შემცვლელი ლევან ბაჯელიძე კი ფორმაში არ იყო.

მოკლედ, პირველ ტაიმში „დინამოს“ უპირატესობა კარგად ჩანდა. ბურთს მასპინძლები აკონტროლებდნენ და აკი რეალური მომენტებიც შექმნეს. თუმცა მთლად ისეც არ ყოფილა, „სიონი“ „დინამოს“ კარს არ მიახლოებიაო, ვთქვათ. ვიტალი დარასელიამ და ჩასემმა თბილისელები გვარიანად ანერვიულეს — ერთხელ გრიშიკაშვილმა იყოჩაღა, მეორედ კი „სიონის“ ლეგიონერმა ლევან კორღალიძეს დასარტყმელად გამზადებული ბურთი არ დაუთმო, თავად კი მიზანს ააცილა.

შესვენებაზე ცხადაძემ სწორედ ბაჯელიძე შეცვალა, მის ნაცვლად თემურ რაქვიაშვილი ათამაშა და „სიონის“ საქმეც აშკარად წაღმა წავიდა. „დინამოს“ მეტოქის კართან მიახლოება უჭირდა, ხოლო სტუმრები ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდნენ თბილისელთა კარის მისადგომებს. თუმცა მეორე ტაიმის პირველი აღსანიშნი ეპიზოდი ისევ „დინამოსგან“ ვნახეთ — მერებაშვილის დარტყმულზე დაფარება მცველებმა ვერ შეძლეს, სამაგიეროდ, ეს შეძლო მამალაძემ და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

მერე ბურთი „დინამოს“ ნახევარზე გადაგორდა და... „სიონმა“ კუთხური ჩააწოდა, ბურთი საჯარიმოს გადასცდა და კორღალიძეს მიუგორდა. ბოლნისელმა ორი-სამი მეტრი მცველებს შუა იარა და როცა ყველას ეგონა, „დინამოს“ კართან ხიფათი ჩაიფარცხაო, სწორედ მაშინ შენიშნა კორღალიძემ ოდნავ წინ გამოსული მეკარე და ბურთს ტექნიკურად ამოსცხო. ტრაექტორიით ბურთი შორეულ კუთხეში უნდა ჩაშვებულიყო, თუმცა ეს უკვე უმნიშვნელო იყო, თანამსაჯ ლევან მიქელაძეს ალამი აღემართა. კარში ჩამავალ ბურთს კი ბოლოს ერთი ბოლნისელი მაინც შეეხო. ხარიტონაშვილმაც, ალამი რომ დაინახა, ჩასტვინა და „დინამომ“ თამაში საკუთარი საჯარიმოდან განაახლა. საკამათო ეპიზოდი იყო, რასაც ასევე მოჰყვა სტუმართა უკმაყოფილება. შემდეგ „დინამოს“ საჯარიმოში შეჭრილი დარასელია ორმცველშუა წაიქცა, თამაში კი გაგრძელდა და ბოლნისელები მსაჯის ამ გადაწყვეტილებამაც აღაშფოთა.

ეს ამბები სადღაც ტაიმის შუაში მოხდა. შემდეგ ცხადაძემ და დუშან უჰრინმა შეცვლები გააკეთეს. „დინამო“ აშკარად შეტევაზე გადაეწყო, „სიონი“ კი კონტრშეტევებისთვის გაემზადა. ერთი-ორჯერ „დინამოც“ სახიფათოდ მიუახლოვდა „სიონის“ საჯარიმოს და არც ბოლნისელები დარჩენილან ვალში, მათი პასუხებიც მწვავე იყო. ამასობაში თავის საჯარიმოდან გრიშიკაშვილმაც დაარტყა და...

### პრესკონფერენცია

**კახა ცხადაძე:** მეორე ტაიმში მეტოქე დავჯაბნეთ, სასარგებლო შეცვლები გავაკეთეთ და გოლიც არ ჩაგვითვალეს. მატჩის შემდეგ ჩემს ფეხბურთელებს მადლობა ვუთხარი, მათ მართლაც კარგად ითამაშეს. წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით. მსაჯობაზე კი არაფერს ვიტყვი, ასე მითხრეს და იმიტომ.

**დუშან უჰრინი:** „დინამომ“ შესვენებამდე უკეთ ითამაშა, თუმცა მეორე ტაიმშიც გვქონდა კარგი საგოლე შანსები. ჩვენები იბრძოდნენ, არც შორიდან დარტყმას ერიდებოდნენ. ბოლნისელთა შორის საუკეთესო უდავოდ მეკარე იყო. იმ ეპიზოდში კი, როცა მსაჯმა „სიონის“ გოლი არ ჩათვალა, მგონი, ჯარიმა იყო.

ბათუმი. 31 მარტი. 15 საათი. ადელი. 500 მაყურებელი

## ბათუმი 3:2 კახეთი

1:0, 2:0 ტულუში (50, 59), 2:1 ბიძინაშვილი (80), 3:1 ტულუში (84), 3:2 კუპრაშვილი (85)

**ბათუმი:** სომხიშვილი, თედორაძე, გალოგრე, უ. ლობჟანიძე, ხოხონიშვილი, კ. შალამბერიძე (ტულუში 47), ნერგაძე, ბეჟანიძე (ფარტენაძე 63), ცანავა (დარჩიძე 41), კუნჭულია, კერესელიძე
სათადარიგონი: ბექთაშევი, დუმბაძე, ბაჟელიძე, მახარაძე
**მწვრთნელი:** ამირან გოგიტიძე

**კახეთი:** გ. იაშვილი, გ. ხიდაშელი (ტეტიაშვილი 63), კობახიძე, ბაბილაშვილი, მურველაშვილი, კუპრაშვილი, ჩუთლაშვილი, მაზაიძე, ბიძინაშვილი, მ. ხიდაშელი, მედოევი
სათადარიგონი: გიგაური, აბდულაევი
**მწვრთნელი:** ვასილ არუდაშვილი

**გაფრთხილება:** მედოევი (44), ჩუთლაშვილი (43)

**მსაჯები:** ლ. სილაგავა; გ. დოგრაშვილი, მ. ურუშაძე; კ. ჭაჭუა

# კახეთი თამაშამდე დაიღალა

**გიორგი მურვანიძე ბათუმიდან**

**პირველი** ტაიმი ორივე გუნდმა ზანტად დაიწყო. თუმცა კახელებისგან რა უნდა მოეთხოვა კაცს — მგზავრობისგან გატანჯული სტუმრები თამაშის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მოვიდნენ სტადიონზე.

მასპინძლები მაინც ვერ მოახერხეს გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება. ბრძოლა მეტწილად მოედნის ცენტრში მიდიოდა...

პირველი სახიფათო მომენტი ზღვისპირელებმა შექმნეს — გიორგი ნერგაძემ შორიდან დაარტყა, მაგრამ ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

საინტერესოა, რომ პირველ ტაიმში „კახეთს“ კარში საერთოდ არ დაურტყამს.

ერთი ეგ იყო, ტაიმის ბოლო წუთზე ზაზა მედოევი წაიქცა ბათუმელთა საჯარიმოში, თუმცა ლაშა სილაგავამ თავდამსხმელი შეტევაში დააჯარიმა.

მეორე ტაიმში „ბათუმი“ შედარებით გამოცოცხლდა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ამირან გოგიტიძემ ირაკლი ცანავა და კობა შალამბერიძე დაასვენა, მათ ნაცვლად კი ტულუში და დარჩიძე შეუშვა.

მასპინძლებმა შეტევებს მოუხშირეს და შეცვლაზე შესულმა ტულუშმაც მალევე იხეირა.

50-ე წუთი იყო, ბათუმელთა ახალგაზრდა ფორვარდმა ბაბილაშვილის უყურადღებობით ისარგებლა, უკნიდან მიეპარა, ბურთი აართვა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილს გოლის გატანა არ გასჭირვებია — 1:0

59-ე წუთზე ტულუშმა დუბლი შეასრულა — კერესელიძემ ორი მცველის გარემოცვაში მოახერხა საგოლე გადაცემის გაკეთება, ტულუშიც ყველაზე მაღლა ახტა და თავურით დალაშქრა გოგა იაშვილის კარი — 2:0

უმაღლეს ლიგაში დარჩენაგანაღდებულმა და უეფა თასის ნახევარფინალზე მოფიქრალმა „ბათუმმა“ საქმე მოთავებულად ჩათვალა და მოეშვა. კახელებმაც ამით ისარგებლეს და ერთი გოლის გაქვითვა მოახერხეს — მე-80 წუთზე ზაქრო ბიძინაშვილმა მცველების შეცდომით ისარგებლა და 2:1.

მეტოქის ნახევარზე გადასულ კახელებს საკუთარი კარი გადაავიწყდათ და დაისაჯნენ კიდეც. მოედნის ცენტრიდან გაკეთებულ გადაცემას ტულუში გამოეხმაურა და მარცხენა დაბალ კუთხეში შეაგორა ბურთი — 3:1. ესაც ჰეთ თრიქი.

მატჩის ბოლო გოლი საპასუხო შეტევისასვე ვნახეთ — კუპრაშვილმა ახლოდან ძლიერი დარტყმით გაუტანა გიორგი სომხიშვილს.

კუპრაშვილმა ადრეც შეძლო გატანა, მაგრამ მანამდე მსაჯის სასტვენი იყო — კახელებმა თამაშის წესები დაარღვიეს...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 18 | 14 | 3 | 1 | 43:6 | 45 |
| დინამო | 18 | 14 | 0 | 4 | 36:13 | 42 |
| ზესტაფონი | 18 | 11 | 6 | 1 | 32:6 | 39 |
| ამერი | 18 | 11 | 4 | 3 | 33:12 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 18 | 11 | 4 | 3 | 38:23 | 37 |
| სიონი | 18 | 9 | 2 | 7 | 22:16 | 29 |
| ტორპედო | 18 | 8 | 4 | 6 | 18:16 | 28 |
| ბათუმი | 18 | 6 | 4 | 8 | 19:18 | 22 |
| ბორჯომი | 18 | 5 | 5 | 8 | 17:27 | 20 |
| მერანი | 18 | 4 | 5 | 9 | 14:30 | 17 |
| ლოკომოტივი | 18 | 4 | 4 | 10 | 12:26 | 16 |
| ჩიხურა | 18 | 3 | 5 | 10 | 11:27 | 14 |
| დილა | 18 | 1 | 3 | 14 | 10:45 | 6 |
| კახეთი | 18 | 0 | 1 | 17 | 13:54 | 1 |

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 18 ტური



ბადრი კოპოლაძის ფოტო

# მწარე შხაპი კურორტზე

ბორჯომი. 31 მარტი. 15 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი. 1 500 მაყურებელი

## ბორჯომი 1:0 ამერი

| | |
|---|---|
| 1:0 კაკალაძე (75პ) | |
| ბორჯომი: შეყრილაძე, ქარქუზაშვილი, ლ. მერებაშვილი, მემარნიშვილი, გ. ნადირაშვილი, თ. ლონლაძე, ავალიანი, შ. გრიგალაშვილი, რ. კვერნაძე (გოგიჩაიშვილი 46), ა. კაიდარაშვილი (თედიაშვილი 90), კაკალაძე (საყვარელიძე 90) სათადარიგონი: ასაბაშვილი, ლომიძე, ლაზარაშვილი მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე | ამერი: ქვაჩახია, დავითნიძე, ხვადაგიანი, დიდავა, ჩიკვილაძე ს. დავითაშვილი, გ. ჯელაძე (ვაჩეიშვილი 56), ბოლქვაძე (სევასტოპულო 64), მეხსი, ტატანაშვილი, დოლიძე (ჩიმაკაძე 74) სათადარიგონი: ლ. ნადირაშვილი, ელბაქიძე, გაბისკირია, კაკაშვილი მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე |
| გაფრთხილება: მეხსი (56) | |
| მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; კ. გუდურაშვილი, ლ. თოდრია; ა. ნონიკაშვილი | |

მიხეილ ჟორჟოლიანი ბოლნისიდან

**ამ მატჩმა,** შეიძლება ითქვას, საჩემპიონო ინტრიგა შეამცირა: „ამერის" ბორჯომელებთან წაფორხილებამ გლდანელებსა და ლიდერ „ოლიმპს" შორის სხვაობა 8 ქულამდე გაზარდა და ამ სხვაობის ამოქაჩვა ურთულესი საქმე იქნება.

თავის მხრივ, საქმე გამოიკეთა „ბორჯომმა": პირველი ლიგის მესამეადგილოსანთან გადათამაშების ზონას 6 ქულით გაექცა.

მასპინძლები მოგებაზე დაგეშილები არ გასულან მოედანზე — ხაჩიძემ ერთი თავდამსხმელით თამაში ირჩია, წინეულად მიხეილ კაკალაძე ირჯებოდა. ნომინალურად ფორვარდი ალექსანდრე კაიდარაშვილი უფრო ნახევარმცველებთან „თანამშრომლობდა" და შოთა გრიგალაშვილთან ერთად ცდილობდა კაკალაძის პასებით მომარაგებას.

რატი წინამძღვრიშვილის, გიორგი დეკანოსიძის და დენის დობროვოლსკის არყოფნაში კი „ამერის" კოზირები გიზო ჯელაძე და გრიგოლ დოლიძე უნდა ყოფილიყვნენ. ბორჯომელთა კართან სახიფათო მომენტები მაშინ იქმნებოდა, როდესაც გლდანელთა ფლანგელები სიჩქარეს ჩართავდნენ, თუმცა ეს ამ მატჩში იშვიათი იყო და აკი ჩიხრაძემ ორივე შეცვალა.

სანამ შეცვლიდნენ, დოლიძეს ორჯერ შეეძლო გატანა — ჯერ დავით ბოლქვაძის პასი ვერ შეირგო ხელსაყრელ პოზიციაში მყოფმა, შემდეგ კი ათიოდე მეტრიდან დაარტყა, მაგრამ ბექა შეყრილაძეს ვერ აჯობა.

გატანა მართებდა მეკარესთან თითქმის პირისპირ დარჩენილ მიხეილ მესხსაც, მაგრამ...

მეორე ტაიმიც გლდანელთა უპირატესობით დაიწყო და... სახიფათო მომენტი მათ კართან შეიქმნა. ბორჯომელთა კაპიტანმა ზურაბ ავალიანმა 25 მეტრიდან პირდაპირ ცხრიანისკენ გაისროლა, მაგრამ ზურაბ ქვაჩახიამ ბურთი კუთხურზე გადააგდო. ნაკუთხურალ ბურთს ბოლოს ისევ ავალიანის ფეხი მოხვდა, თუმცა ქვაჩახიას პრობლემა არ შექმნია.

ამას მოჰყვა ჩიხრაძის ზემოთ ნახსენები ცვლილებები. უპირატესობა ისევ „ამერისა" იყო, მაგრამ ხიფათი ბორჯომელთა კართან უფრო და უფრო იშვიათი ხდებოდა. ყველაზე ხელსაყრელი მომენტები დიმიტრი ტატანაშვილსა და დავით სევასტოპულოს ჰქონდათ. ტატანაშვილმა საჯარიმოს წინა ხაზთან რამდენიმე მცველი ეფექტურად ჩამოიშორა, მაგრამ ოდნავ მახვილი კუთხიდან დარტყმული სუსტიც აღმოჩნდა და არაზუსტიც. სევასტოპულოს კი ნაღდად უნდა გაეტანა. მცველებთან ბრძოლაში შეყრილაძეს პირისპირ შეეყარა, მაგრამ ხეირიანად დარტყმა ველარ შეძლო.

„ამერს" სამი ქულა ჰაერივით სჭირდებოდა და რაც უფრო იწურებოდა დრო, სტუმრებს ნერვიულობა ემატებოდათ. მათი შეტევები ქაოტური გახდა, სიმწვავემ თანდათან იკლო. გოლის გასატანად დაძრულ გუნდს კი კონტრშეტევაც გამოეპარა, კაკალაძემ რამდენიმე მცველი მოატყუა, ბოლოს კი გიორგი დავითნიძემ საჯარიმოში დასცა. თერთმეტმეტრიანი თავად კაკალაძემ შეასრულა.

„ამერს" უკვე ორი ბურთი უნდოდა და მთელი გუნდით წინ დაიძრა. ცენტრალურ მცველად მესხი დარჩა, ტანმაღალი დავითნიძე და ვახტანგ ხვადაგიანი მეტოქის საჯარიმოსკენ მიიწევდნენ. შეტევით გართულ „ამერს" ერთხელაც გამოეპარა კურორტელთა სწრაფი კონტრშეტევა და რომ არა დავითნიძე, მეორე გოლსაც გაუშვებდა — გლდანელთა კაპიტანი კაიდარაშვილის დარტყმულს კარის ხაზზე გადაეფარა.

გლდანელებმა ისევ გაიწიეს გასათანაბრებლად, მაგრამ ბორჯომში „ამერის" დარი არ იდგა...

### პრესკონფერენცია

**გიორგი ჩიხრაძე:** დაძაბული თამაში იყო. ჩვენ აქცენტი შეტევაზე გავაკეთეთ და კონტრშეტევა გამოგვეპარა. იმ მომენტში უხეში შეცდომა დავუშვით. „ბორჯომი" კარგად გამოიყურებოდა და ბოლოსკენ კიდევ შეეძლო გატანა. ჩვენ კი მეტი აგრესიულობა და სიზუსტე გვმართებდა. საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ და დავისაჯეთ.

**ვლადიმერ ხაჩიძე:** „ამერი" ჩვენზე ძლიერი გუნდია და თამაში კონტრშეტევაზე ავაგეთ. ველოდით, როდის შეცდებოდა მეტოქე და ეს მოხდა კიდეც. მოხარული ვარ, რომ ასეთ ძლიერ მეტოქესთან გავიმარჯვეთ.

გორი. 31 მარტი. 15 საათი. ქართლი. 100 მაყურებელი

## ჩიხურა 0:0 ზესტაფონი

| | |
|---|---|
| ჩიხურა: სტურუა, ბარამიძე, ქემოკლიძე, დ. გიგაური, ქუხილავა, ბუცხრიკიძე, ი. ზაბახიძე (გვეტაძე 46), ქუცურუა, კ. მახარაძე, გ. მიქაძე (მ. მიქაძე 69), ჯ. დვალი სათადარიგო: დოლაძე, სტეფანიშვილი, ვ. ზაბახიძე მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი | ზესტაფონი: გ. ჭანტურია, შ. ლონლაძე, ს. თოდუა, საჯაია, ბ. ნოზაძე (იონანიძე 60), დოლონაძე, რ. ონიანი, ჟონატასი, ვიეირა (ლეანდრო 85), ფიფია, გ. ჩხეტიანი სათადარიგო: რ. კვასხვაძე, ნ. კვასხვაძე, სანტოსი, სანაია, ჩოხელი მწვრთნელი: თემურ მახარაძე |
| გაფრთხილება: დვალი (32), მახარაძე (59), ვიეირა (80), ონიანი (90) | |
| მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; კ. გაბრიაძე, კ. ბერაძე; ხ. გაგნიძე | |

# თემურ მახარაძეს ქართლი ეპატარავა

ნუკრი ლოლაძე გორიდან

**პირველ** წრეში „ზესტაფონმა" ძალიან ადვილად დაამარცხა „ჩიხურა", მაგრამ დღეს იმ შემადგენლობიდან ძალიან ცოტაღა ირიცხება საჩხერულ გუნდში.

შეხვედრამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, უპირველესად იმიტომ, რომ ტემპი არ დაიწუნებოდა. საწყის წუთებში „ზესტაფონი" აქტიურობდა. ჯერ გოგი ფიფიამ, მერე კი ვიეირამ შეაწუხეს სტურუა. მე-20 წუთზე „ჩიხურაც" გადავიდა მეტოქის ნახევარზე. ჯაბა დვალმა ზესტაფონელ მცველებში გაინავარდა, მაგრამ ამას გაგრძელება აღარ მოჰყოლია. მალე გიორგი ჭანტურიას მოუწია თამაშში ჩართვა. მან გიორგი მიქაძის დარტყმული მოიგერია. ზესტაფონელებიც გამუდმებით ცდილობდნენ „ჩიხურას" კართან ხიფათის შექმნას. სევასტი თოდუას ჩაწოდებული ბურთი ვიეირამ კარგად დაუგდო ფიფიას, მან შემობრუნებით დაარტყა და სტურუამ საკმაოდ რთული ბურთი მოიგერია. ისევ მიქაძე ცდილობს, შორი მანძილიდან მიაღწიოს საწადელს, მაგრამ ბურთი კარს სცდება.

საჩხერელები დავით გიგაურმა იხსნა — ვიეირას დარტყმული ბურთი თავით გამოიტანა ცარიელი კარიდან. საერთოდაც, გიგაურმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ტაიმის მიწურულს ჯაბა დვალის თავური მოიგერია ჭანტურიამ. გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი მეორე ნახევრის მე-10 წუთზე გიორგი მიქაძეს მიეცა. მარცხენა ფრთაზე გიორგი ქუცურუა ადვილად გასცდა თოდუას და კარგად მონახა მიქაძე, რომლის დარტყმული ბურთიც ჯაბა დვალს მოხვდა, რამაც „ზესტაფონი" აშკარა გოლს გადაარჩინა. თემურ მახარაძემ შეცვლას მიმართა. მან ზურაბ იონანიძეს უხმო საშველად. იონას ერთხელ მიეცა გატანის შანსი, მაგრამ მის თავურს კახა მახარაძე გადაეღობა.

„ზესტაფონმა" მთელი გუნდით შეუტია, რამაც „ჩიხურას" კონტრშეტევის საშუალება მისცა. ცოტა უკეთ რომ გარჯილიყვნენ საჩხერელები, „ზესტაფონს" ქულაც სანატრელი გაუხდებოდა.

განაწყენებული ზესტაფონელი ფეხბურთელები მატჩის დამთავრებისთანავე წაეკიდნენ ერთმანეთს. ჭანტურია და ონიანი თანაკლუბელების დასაშოშმინებელი გახდნენ.

პრესკონფერენციაზე საკმაოდ მოულოდნელი განცხადება გააკეთა თემურ მახარაძემ: „დაწერეთ, რომ ასეთ არასტანდარტულ მოედანზე ფეხბურთის თამაში შეუძლებელია, ორივე კარი პატარაა. ჩვენ ფედერაციაში აუცილებლად შევიტანთ საჩივარს."

# ზესტაფონის გაზომილი საჩხერემ სხვანაირად გადაზომა

**„ჩიხურა"** — „ზესტაფონის" მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ფეროელთა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ მოედნის და კარის არასტანდარტულობა დაიჩივლა და, ფედერაციაში საჩივარს შევიტანთო, თქვა.

ზესტაფონელები შედეგის გაუქმებას და გადათამაშებას ითხოვენ.

„ზესტაფონის" პრეს-ატაშე სერგო ფუტკარაძე: საჩივარს ფედერაციაში ორშაბათს შევიტანთ. გავზომეთ ორივე კარი და ისინი აშკარად არ შეესაბამება სტანდარტებს. ეს მინიფეხბურთია თუ სოფლის პირველობა?! ჩვენ დავზარალდით და გადათამაშებას ვითხოვთ."

ცხადია, საჩხერელთა პოზიციაც საინტერესოა და „ჩიხურას" უფროს ბადრი ბრეგვაძეს შევეხმიანეთ:

„ქართლზე" მეოთხე თამაში ვითამაშეთ და მხოლოდ ახლა მოვახერხეთ ქულის აღება. სეზონის წინ ფედერაცია-პროფლიგამ სტადიონი შეამოწმა და თამაშის ნებაც დაგვრთო. კი, ბატონო, გადავითამაშოთ, მაგრამ მაშინ რაც აქამდე ვითამაშეთ, ისიც გადაგვათამაშონ. ასე შეიძლება თასის ნახევარფინალშიც გავიდეთ — „სიონთან" 2:3 წავაგეთ, სტუმრად 1:0 მოვიგეთ და, რა იცი, გადათამაშებაში რა მოხდება..."

ცნობისთვის: პატრიოტული გზნებით შექმნილმა და შემდგომ ბედის ანაბარად მიტოვებულმა „ცხინვალმა" მთელი წინა ჩემპიონატი ამ სტადიონზე ჩაატარა.

ნუკრი ლოლაძე

# საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 18 ტური

## ნაცრისფერი სიუჟეტი სპეცეფექტებით

მცხეთა. 31 მარტი. 15 საათი. არმაზი. 300 მაყურებელი

### ვიტ ჯორჯია 3:0 ლოკომოტივი

| | |
|---|---|
| 1:0 გელაშვილი (28), 2:0 რაზმაძე (32პ), 3:0 ბერიაშვილი (82) | |
| ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი (ბეჭვაია 84), ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, ლ. რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, გ. მელქაძე, კლიმიაშვილი (კვალინაძე 80), ბერიაშვილი, გელაშვილი (ლუქაშვილი 80) სათადარიგონი: მიქაბერიძე; ადამაძე, ინჯგია, კიკნაძე მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე | ლოკომოტივი: გვარამაძე, თუთბერიძე, გ. კვახაძე, გუშარაშვილი (კირკიტაძე 32; ბახტაძე 76), კუპრეიშვილი, მ. ტლენტი, ჩომახიძე, მალიჩავა, დ. ფოფხაძე, გულორდავა (ბარბაქაძე 55), ვ. გოჩაშვილი სათადარიგონი: მიგინეიშვილი; ი. სამხარაძე, სოხელია მწვრთნელი: ამირან მინაშვილი |
| გაფრთხილება: ლომაია (39) | |
| მსაჯები: ლ. კვარაცხელია; მ. ელიკაშვილი, გ. ჩიგოგიძე; ვ. გუმბერიძე | |

დავით თავართქილაძე მცხეთიდან

**მზიანი** დარი და ფხიანი „ვიტ ჯორჯია“ — ვინც „არმაზზე“ მივიდა, ოდენ ამით უნდა დამტკბარიყო, რამეთუ „ლოკომოტივმა“ თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა და თამაშიც მთლიანობაში საინტერესო ვერ გამოდგა.

ვიტელები წინა ტურში „ზესტაფონთან“ 0:5 დამარცხდნენ და, ცხადია, რეაბილიტაცია სურდათ — „ვიტ ჯორჯიას“ თამაში უზადო არ იყო, მონდომება კი ნამდვილად არ დაეწუნებოდა ნესტორ მუმლაძის გუნდს.

„ლოკომოტივს“ ტრავმის გამო არ ჰყავდა თავისი მარგალიტი ლევან ყუნია, რამაც ალბათ საქმე გაუადვილა „ვიტ ჯორჯიას“, რომელიც ამ გამარჯვებით ბორჯომში ხელმოცარულ „ამერს“ ქულებით გაუთანაბრდა, თუმცა ისევ მეხუთე ადგილზეა.

„ვიტ ჯორჯიამ“ მყის შეუტია, თამაში მეტწილად „ლოკომოტივის“ ნახევარზე გაჩაღდა. სტუმრებმა ალბათ შეგნებულად დათმეს მოედნის ცენტრი და საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან ისე გამაგრდნენ, რომ 28-ე წუთამდე მასპინძლებს საგოლე მომენტი არ ჰქონიათ.

ნაპრალი „ლოკომოტივის“ ჯებირებში ნიკა გელაშვილმა აღმოაჩინა — მარცხენა ფლანგიდან, ორ მეტოქეს გაუსწორდა და დავით გვარამაძეს შორეულ კუთხეში გაუტანა — ეფექტური გოლი გამოვიდა.

გოლით კიდევ უფრო შეგულიანებულმა ვიტელებმა მალევე გაზარდეს უპირატესობა — ირაკლი კლიმიაშვილმა „ლოკომოტივის“ საჯარიმოში ჩააგდო ბურთი, ერთ-ერთი ვიტელი თამაშგარეში კი იყო, მაგრამ ბურთი მას არ მისვლია, გიორგი ბერიაშვილმა მოიგდო და წააქციეს — ლოკომოტიველთა პროტესტი ამაო იყო, პენალტი ზუსტად შეასრულა ლუკა რაზმაძემ.

ისიც სათქმელია, რომ ამ მომენტში სტუმრები ათნი იყვნენ — მცველ ნიკა გუშარაშვილს მოედნის იქით ადებდნენ ტერფზე ყინულს და სახვევს.

შესვენებამდე სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა — „ლოკომოტივს“ მწვავე კონტრშეტევები არ გამოსდიოდა, ბურთის ფლობის ხანგრძლივობაში უპირატესობა ისევ „ვიტ ჯორჯიას“ ჰქონდა.

მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, „ლოკომოტივის“ კარის ხარიხამ აისხლიტა ბურთი — ეს ბერიშვილის და დაჩი ფოფხაძის ორთაბრძოლას მოჰყვა.

ნელ-ნელა „ვიტ ჯორჯია“ თითქოს მოეშვა, უწინდელი მონდომებით აღარ უტევდა და კინაღამ აქეთ გაუშვა გოლი — ფოფხაძის პასით ექსვიტჯორჯიელი ვლადიმერ გოჩაშვილი გრიგოლ ბედიაშვილთან პირისპირ დარჩა, ვარდნაში ჭვინტით დაარტყა, მაგრამ ვიტელთა მეკარეს ვერ აჯობა.

ამის შემდეგ სტუმრები ვეღარ ემუქრებოდნენ „ვიტ ჯორჯიას“, რომელსაც მესამე გოლამდეც შეეძლო გატანა — ხელსაყრელი პოზიციიდან კლიმიაშვილმა კარში ვერ დაარტყა, ბურთი აეჭრა.

და მესამე გოლიც: ბერიაშვილი მარჯვნიდან შეიჭრა „ლოკომოტივის“ საჯარიმოში, ძლიერად დაარტყა და ბურთი ძელიდან ასხლეტით გაეხვა ბადეში — გელაშვილის გოლზე არანაკლებ ეფექტური იყო.



## ლოკომოტივმა კიკნაძე ირჩია

**გიორგი კიკნაძე** და ზაზა ზამთარაძე პირველ წრეში რუსთავის „ოლიმპს“ წვრთნიდნენ და გუნდმა ჩემპიონატის პირველი წრე პირველი ადგილით ჩაამთავრა. მიუხედავად ამისა, „ოლიმპისა“ და კიკნაძე-ზამთარაძის გზები გაიყარა — „ოლიმპის“ გაწვრთნა რევაზ ძოძუაშვილს მიანდეს, დუეტი კი ქუთაისის „ტორპედოში“ მივიდა, თუმცა იქ დიდხანს ვერ გაჩერდა — „ტორპედოს“ ფინანსური სახსარი გამოეცალა და კიკნაძე და ზამთარაძე იქიდან წავიდნენ. თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, დღეიდან კიკნაძე და ზამთარაძე თბილისის „ლოკომოტივს“ უთავკაცებენ, მანამდელი მწვრთნელი ამირან მინაშვილი კი კლუბში რჩება და ჭაბუკებს გაწვრთნის.

დავით თავართქილაძე

## სადღა არიან ძველნი...

რუსთავი. 31 მარტი. 15 საათი. ფოლადი. 4 000 მაყურებელი

### ოლიმპი 1:0 მერანი

| | |
|---|---|
| 1:0 გრიგალაშვილი (5ს.კ.) | |
| ოლიმპი: მ. ალავიძე, მახვილაძე, გ. ონიანი, ჭიჭველიშვილი, სეთურიძე, ნავალოვსკი (ხუბუა 77), ძამსაშვილი, აფციაური, გ. კახელიშვილი (ქებაძე 46), დვალიშვილი (ბერუაშვილი 88), რ. გოცირიძე სათადარიგონი: მერლანი; ჩხარტიშვილი მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი | მერანი: გლუნჩაძე, კედელაშვილი, აბშილავა, ლ. გრიგალაშვილი, ოსიტაშვილი, კობერიძე, ფურთუხია (ბურჯანაძე 58), ქემაშვილი, ზედელაშვილი (კეტაშვილი 76), ჩივაძე, ა. ნოზაძე (დეისაძე 52) სათადარიგონი: ლ. ლომიძე; დათუნაშვილი, ნეფარიძე, ნაკანი მწვრთნელი: ასლან ბალაძე |
| გაფრთხილება: კედელაშვილი (72), დვალიშვილი (87) | |
| მსაჯები: ო. ხეცაძე; ზ. ჯვარიძე, ი. უკლება; ი. ურუშაძე | |

ილია ნანობაშვილი რუსთავიდან

**მეორე** ტაიმის დასაწყისში საჯარიმოში შეჭრილმა გიორგი ნავალოვსკიმ რბილად ჩააწოდა მეკარის სიახლოვეს და „მერანის“ მცველმა ლევან გრიგალაშვილმა თავურით საკუთარი კარი დალაშქრა — ასე გავიდა მატჩის ერთადერთი გოლი და რევაზ ძოძუაშვილის გუნდი კვლავ სამქულიანი ჰანდიკაპით დარჩა ცხრილის კენწეროში.

ბრმა გოლით ძლივს მოიგოო, ასეთ თამაშზე არ ამბობენ — „ოლიმპს“ დიდი სათამაშო უპირატესობა ჰქონდა, პირველივე წუთიდან აატალახა „მერანის“ საჯარიმო მოედანი და შესვენებამდე რომ 0:0 შენარჩუნდა, ეს თვითონ რუსთაველთა უზუსტობის და სტუმართა მეკარე კახა გლუნჩაძის დამსახურება იყო. მატჩი ხეირიანად არ დაწყებულიყო, ნავალოვსკის გარღვევას არეულობა რომ მოჰყვა და რევაზ გოცირიძის დარტყმულს „მერანის“ მცველები გადაეფარნენ. ცოტა ხანში ზურაბ ძამსაშვილისა და გიორგი სეთურიძის გასროლილები მოიგერია გლუნჩაძემ, ვლადიმერ დვალიშვილის თავური კი ამირან კედელაშვილმა ცარიელი კარიდან გამოიტანა. ყველაზე რეალური მომენტი მასპინძლებს მე-40 წუთზე ჰქონდათ, როცა გიორგი კახელიშვილი თითქმის პირისპირ დარჩა მეკარესთან და ახლო კუთხეში სანტიმეტრებით ააცილა.

ასეთი მძიმე გამოდგა სადებიუტო მატჩი „მერანის“ ახალ თავკაც ასლან ბალაძისთვის. იგი ათი დღის წინ დაინიშნა თბილისელთა მთავარ მწვრთნელად, გუშინწინ კი პირველად გაუძღვა გუნდს და ლიდერთან სტუმრად ერთბურთიან წაგებას დიდ წარუმატებლობად ვერ ჩავუთვლით, მაგრამ თამაშის ხარისხზე რა გითხრათ — „მერანი“ მთელი 90 წუთი სტატისტის როლში იყო.

გოლის შემდეგ „მერანს“ გამოცოცხლება არ დასტყობია, პირიქით, რუსთაველები მეორე ბურთის გასატანად გაიწივნენ და სამწუთიან მონაკვეთში გლუნჩაძემ ორი ურთულესი თავური აუღო დვალიშვილს.

ბოლო ორი ტურია, ჩემპიონატის ლიდერი ოდენ მინიმალური ანგარიშით იგებს, მაგრამ ახლა ის პერიოდია, როცა ხარისხზე მეტად ქულები ფასობს და „ოლიმპიც“ როგორღაც ახერხებს ამოცანის შესრულებას...

### პრესკონფერენცია

*ასლან ბალაძე:* ახალგაზრდული გუნდი გვყავს, ძალიან ბევრი სამუშაოა. „მერანში“ ლიდერი არ არის, ამ მხრივ ძალიან გვიჭირს. არის რამდენიმე საინტერესო ფეხბურთელი და სწორი მუშაობით შედეგს მივიღებთ. განსაკუთრებით თავდასხმაში გვიჭირს.

*რევაზ ძოძუაშვილი:* კარგი მინდორი რომ ყოფილიყო, უკეთეს თამაშს ვნახავდით, ასე კი ორივე გუნდი ჭიდაობდა. „მერანმა“ წინააღმდეგობა გაგვიწია, მაგრამ იმდენი მომენტი შევქმენით, ცოდო ვიქნებოდით, არ მოგვეგო. საგოლე შანსებს ცუდად ვიყენებთ — რას იზამ, რამაზ შენგელიასა და გივი ნოდიასნაირი გოლისალოიანი ფორვარდები არ გვყავს.

## არაჩვეულებრივი გამოფენა: ჩემი ბავშვები...

გორი. 31 მარტი. 15 საათი. თ. ბურჯანაძე. 2 000 მაყურებელი

### დილა 1:0 ტორპედო

| | |
|---|---|
| 1:0 ყველაშვილი (40) | |
| დილა: რ. თევდორაძე, კობახიძე, ბალაშვილი, ყველაშვილი, ლომაშვილი, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია (გ. ვარდოსანიძე 69), დ. ხანიშვილი (ბათიაშვილი 88), ნ. ნოზაძე (ტლაშაძე 81), სულთანიშვილი, გონჩაროვი სათადარიგონი: კეხუაშვილი, ი. თაყაძე, გ. ნინამძღვრიშვილი, აბრამიშვილი მწვრთნელი: მამუკა ვარდოსანიძე | ტორპედო: ოდიშარია, ხარებავა, მახარობლიძე, კუხიანიძე, ტაბიძე, კაშია, კირკიტაძე, დანელია (ნაჭყებია 78), გოდერიძე, ჭედია (ქიმუცაძე 85), კიკვიძე (მდივნიშვილი 66) სათადარიგონი: ნიქაბაძე, გურეშიძე, ხარშილავა, კეჭაყმაძე მწვრთნელი: იური კვერნაძე |
| მსაჯები: დ. სანაია; დ. კურტანიძე, ო. მოლოდინაშვილი; ზვ. ასკაროლლი | |

ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან

**სუსხიანი** და ქარიანი დღეების შემდეგ გორში გამოიდარა, ნორმალური საფეხბურთო ამინდი დადგა და ნახევრადგანახლებულ სტადიონზე მოსული 2000-მდე მაყურებელი „დილას“ გამარჯვების მოწმეც გახდა.

თამაში მეტოქეებმა ფრთხილად და ნაკლებად საინტერესოდ დაიწყეს. მასპინძლებს აშკარად ეტყობოდათ ნერვიულობა, „ტორპედო“ კი თითქმის მთლიანად ახალგაზრდული იყო და შეუთამაშებელი გუნდის შთაბეჭდილებასაც ტოვებდა.

მე-14 წუთზე ტორპედოელმა დანელიამ საჯარიმოში დაგვიანა კიკვიძის პასზე, ხოლო მე-18 წუთზე კობახიძის მიერ ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი „ტორპედოს“ კარის ხარიხას დაეცა. მე-20 წუთიდან „დილას“ მცირე უპირატესობა გამოიკვეთა, „ტორპედომ“ კი დაცვა გააძლიერა და კონტრშეტევებზე გადაეწყო. ერთი ასეთი კონტრშეტევისას, 27-ე წუთზე ჭედიამ თითქმის მთელი მინდორი გადაირბინა ბურთიანად, „დილას“ რამდენიმე მოთამაშე ჩამოიტოვა, მასპინძელთა საჯარიმოში შეიჭრა, მაგრამ ბოლო მომენტში ბურთი გაექცა. 30-ე წუთზე კი „დილას“ ჰქონდა სახეირო მომენტი, როცა სულთანიშვილის საჯარიმოს შემდეგ სტუმართა კარის წინ შექმნილი არეულობა გამოუყენებელი დარჩა. ორი წუთიც და „დილას“ აშკარად გაუმართლა. ხარებავამ საჯარიმოში უმეთვალყურეო ჭედიას ჩააწოდა, რომლის დარტყმული ბურთიც ძელმა აისხლიტა. ტაიმის ბოლოს „დილას“ შეტევები უფრო გამწვავდა. 37-ე წუთზე ბალიაშვილმა სტუმართა საჯარიმოში მყოფ გონჩაროვს ჩააწოდა, მაგრამ მისი თავური ოდნავ ასცდა მიზანს. გამარჯვების გოლი კი „ტორპედოს“ კარში ასე გავიდა: მე-40 წუთზე ბალაშვილ-გონჩაროვის კომბინაციის შემდეგ ბურთს დაეუფლა ყველაშვილი, რომელმაც საჯარიმოს ხაზიდან ძლიერად დაარტყა, ბურთი მოხვდა „ტორპედოს“ მცველს და კუთხურზე გადავარდა. ნაკუთხურალი ბურთი მეკარის სიახლოვეს მდგომმა უმეთვალყურეო ყველაშვილმა ეფექტური დარტყმით შეაგდო — 1:0.

ტაიმის მიწურულს მეტოქეებს შეეძლოთ ანგარიშის შეცვლა, მაგრამ ჯერ სულთანიშვილმა ააცილა ახლოდან მიზანს, შემდეგ კი სტუმართა მიერ კუთხურიდან მოწოდებული ბურთი კუხიანიძეს თავიდან ააცალა თევდორაძემ.

მეორე ტაიმი კვლავ „დილას“ შეტევებით დაიწყო. 56-ე წუთზე გონჩაროვს მიეცა კარგი შანსი: ბურთი სტუმართა საჯარიმოში მიიღო და შემოტრიალებით დაარტყა, მაგრამ ოდიშარიამ ივარგა. გორელები შემდგომაც ბევრს ეცადნენ, მაგრამ მეტი ვეღარაფერი შეძლეს.

### პრესკონფერენცია

**იური კვერნაძე:** ვულოცავ მასპინძლებს პირველ გამარჯვებას, ისინი ამას იმსახურებდნენ. ჩემი ბავშვების თამაშით კმაყოფილი ვარ. ესენი „ტორპედოს“ მომავალი არიან.

**მამუკა ვარდოსანიძე:** დიდი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ვიყავით, მაგრამ, როგორც იქნა, მე-17 ტურის შემდეგ პირველი მოგება ჩავიწერეთ. კიდევ ვიტყვი, რომ უბრძოლველად არაფერს დავთმობთ. პრობლემები კვლავ არის და ბევრი სამუშაო გვაქვს.

# საქართველოს ჩემპიონატი

## დინამოს ტექნიკური დინამიტი აუფეთქდა


ბუბა ფილიპაშვილის ფოტო

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გუნდმა „დინამო“ ბოლო წამებზე დაამარცხა

**31 მარტი**
**ვერის ბაღი**

**თსუ 107:74 მაკაბი**
*17:22 24:19 35:13 31:20*
**თსუ:** არნივიძე (12), ვეფხვაძე (8), ბ. ბერიშვილი (8), ფანჩულიძე (11), ლეჟავა (14), მარხვაშვილი (3), შანიძე (9), მათიაშვილი (12), ტყეშელაშვილი (4), ხეცურიანი (19), მ. ბერიშვილი (7)
**მაკაბი:** დოლიძე (8), პირველაშვილი, გ. შერმადინი (39), ჯგერენაია (12), კორკოტაძე (2), ს. შერმადინი (13), კორძაძე, ენუქიძე
*მსაჯები:* დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა
*კომისარი:* როლანდ ხომერიკი

**დინამო 83:85 სტუ**
*28:20 14:28 22:20 19:17*
**დინამო:** გულისაბედაშვილი (7), ლაფანაშვილი (13), ნ. ნოზაძე (14), სიგუა (11), მურჯიკნელი (9), კოლუაშვილი (14), გვიმრაძე (15), ფაიქრიძე, ბოლქვაძე
**სტუ:** ლ. ნოზაძე, ეძგვერაძე (8), სეფისკვერაძე (5), ბერაია (19), კოხრეიძე (12), მაისურაძე (13), დევიძე (1), ახალკაცი (21), ბარბაქაძე (6)
*მსაჯები:* ზაზა მაჩალაძე, მალხაზ ანდღულაძე
*კომისარი:* მურმან ქურიძე

**რუსთავში** პარასკევს დაწყებული ტური შაბათს თბილისში საინტერესოდ გაგრძელდა. შაბათის ორი მატჩიდან ინტრიგა მხოლოდ „დინამოსა“ და სტუ-ს დაპირისპირებას ახლდა, რადგან თსუ რომ „მაკაბის“ იოლად დაჯაბნიდა, ეჭვი არავის ეპარებოდა.

„დინამო“ და სტუ „მაკაბისთან“ ერთად პლეი ოფის მეოთხე საგზურისთვის იბრძვიან, რადგან ცხრილის სამმა ლიდერმა უკვე გაინაღდა ნახევარფინალის საგზური. შესაბამისად, დინამოელთა და ტექნიკოსთა შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისთვის. „დინამო“ სტუ-ს 2 ქულით უსწრებდა და თუკი იმარჯვებდა, სხვაობას კიდევ უფრო გაზრდიდა და პლეი ოფის საგზურსაც თითქმის გაინაღდებდა. სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება დინამოელთა თავკაცმა ზაზა ცაგარეიშვილმა წინასამატჩო პრესკონფერენციაზე — ოთხქულიანი თამაშია და გამარჯვებისთვის არაფერს დავიშურებთო. არც დაუშურებიათ, ბოლომდე და ჯიგრიანადაც იბრძოლეს, მაგრამ ცაგარეიშვილის შეგირდებმა მატჩის ბოლო წამზე საბედისწერო შეცდომა დაუშვეს და დასანანი მარცხი იწვნიეს.

შეხვედრა მეტად დაძაბული და დრამატულფინალიანი გამოდგა. ჯერ „დინამო“ იგებდა 10 ქულას, მერე თითქმის ამხელა უპირატესობა ტექნიკოსებმაც მოიპოვეს, მაგრამ გადამწყვეტი მეოთხედის წინ თითქმის ყველაფერი ახლიდან დასაწყები გახდა — ანგარიშში სხვაობა მხოლოდ 4 ქულა იყო სტუ-ს სასარგებლოდ.

დაიწყო ბოლო მეოთხედი და „დინამოს“ შორი არტილერიამ ამოქმედდა. ლექსო ლაფანაშვილმა საmქულიანი ტყორცნა, რასაც ნიკა ნოზაძემ კიდევ ორი შორეული ხროლა მიაყოლა და დინამოელებმაც მეორე მეოთხედში დაკარგული ლიდერობა დაიბრუნეს — 73:70.

ეს იყო და მატჩი გათანაბრდა. გუნდები კუდში მისდევდნენ ერთმანეთს და გვარიანად დაწინაურებას ვერც ერთი ვერ ახერხებდა. ბოლო წუთი რომ დაიწყო, სტუ 82:80 იგებდა, თუმც სირენამდე 21 წამით ადრე დინამოელმა გიორგი გულისაბედაშვილმა უმნიშვნელოვანესი სამქულიანი გამოჭედა და ახლა ტექნიკოსები ჩამორჩნენ.

სტუ-მ გადამწყვეტ შეტევას კარგი ორგანიზება გაუკეთა და ნოდარ ბერაია ხელსაყრელ პოზიციაზე დარჩა, თუმც მასზე ვიქტორ კოლუაშვილი დაჯარიმდა და სირენამდე 4 წამით ადრე სტუ-ს ლიდერს გათანაბრების შანსი მიეცა.

ბერაიამ პირველი საჯარიმო ჩააგდო, მეორე კი აუცდა და... ფარიდან ასხლეტილი ბურთი მისმა თანაგუნდელმა დავით მაისურაძემ მოიხელთა და მყისვე „დინამოს“ კალათში მოუძებნა ადგილი. ესეც ამბავი — წასაგებად განწირულმა სტუ-მ ბოლო წამზე გამოგლიჯა „დინამოს“ გამარჯვება და საპლეიოფო ბრძოლაში საფუძვლიანად ჩაება.

მეორე მატჩი კი საინტერესო მხოლოდ პირველ ტაიმში იყო, როცა თსუ არხეინობდა და სანამ „მაკაბი“ ნამეტანი არ გაუთამამდა, საქმეს ხელი სერიოზულად არ მოჰკიდა. ჯამლეტ ხუხაშვილის ჯილა გიორგი შერმადინი პირველ-მეორე მეოთხედში მართლაც რომ დაფრინავდა და მის აქტიურობას „მაკაბის“ 11-ქულიანი დაწინაურება მოჰყვა — 31:19.

ეს იყო და თსუ გამოფხიზლდა და პირველი ტაიმის ბოლოს ანგარიში რომ გაათანაბრა, მერე გათამამებულ მაკაბელებს სულ კუდით ქვა ასროლინა.

**ირაკლი ბერტაია**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 19 | 18 | 1 | +471 | 37 |
| ავიამშენი | 19 | 14 | 5 | +230 | 33 |
| თსუ | 19 | 14 | 5 | +248 | 33 |
| დინამო | 19 | 5 | 14 | -257 | 24 |
| სტუ | 19 | 4 | 15 | -357 | 23 |
| მაკაბი | 19 | 3 | 16 | -369 | 22 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი


AFP დაოსიდან

დირკ ნოვიცკიმ ნიუიორკელებს 30 ქულა უთავაზა

**30 მარტი**

**სან ანტონიო 102:93 იუტა**
**სან ანტონიო:** ჯინობილი (26), პარკერი (23 ქულა, 11 პასი), დანკანი (20 ქულა, 14 მოხსნა)
**იუტა:** უილიამსი (23), ბუზერი (18), ოქური (16 ქულა, 11 მოხსნა)

**ფილადელფია 88:82 ბოსტონი**
**ფილადელფია:** კორვერი (26), იგუდალა (23 ქულა, 12 პასი)
**ბოსტონი:** ჯეფერსონი (20), ვესტი (16)

**ვაშინგტონი 118:123 ტორონტო**
*ძირითადი დრო: 109:109*
**ვაშინგტონი:** არენასი (34), სტივენსონი (19 ქულა, 10 მოხსნა)
**ტორონტო:** ბოში (37 ქულა, 14 მოხსნა), ფორდი (23)

**შარლოტი 97:81 მილუოკი**
**შარლოტი:** ვოლესი (24 ქულა, 13 მოხსნა), ჰერმანი (23)
**მილუოკი:** პატერსონი (14), რედი (13)

**მინესოტა 77:92 მაიამი**
**მინესოტა:** გარნეტი (22 ქულა, 20 მოხსნა), ბლუნტი (18)
**მაიამი:** პპალეში (19 ქულა, 14 მოხსნა), ჯონსი (16)

**ორლანდო 95:87 ინდიანა**
**ორლანდო:** ჰილი (22), ჰოვარდი (10)
**ინდიანა:** კინსლი (27 ქულა, 10 მოხსნა), გრეინჯერი (13)

**დეტროიტი 110:105 ნიუ ჯერსი**
**დეტროიტი:** ბილაფსი (32 ქულა, 14 პასი), ვოლესი (22)
**ნიუ ჯერსი:** კარტერი (27), ბუნი (17), მური (16)

**დალასი 105:103 ნიუ იორკი**
**დალასი:** ნოვიცკი (30), ჰოვარდი (20), სტეკჰაუზი (19)
**ნიუ იორკი:** მარბერი (43), კარი (17)

**ფინიქსი 125:108 დენვერი**
**ფინიქსი:** მერიონი (33), ბელი (19), ნეში (18 ქულა, 11 პასი)
**დენვერი:** ენტონი (32 ქულა, 10 მოხსნა), აივერსონი (26)

**სიეტლი 120:93 მემფისი**
**სიეტლი:** კოლისონი (22 ქულა, 12 მოხსნა), პეტრო (22), ლუისი (21)
**მემფისი:** უორიკი (26 ქულა, 11 მოხსნა), კინსლი (20)

**ლეიკერსი 104:107 ჰიუსტონი**
*ძირითადი დრო: 95:95*
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (53), ოდომი (16 ქულა, 17 მოხსნა)
**ჰიუსტონი:** მინი (39 ქულა, 11 მოხსნა), მაკგრეიდი (30 ქულა, 10 პასი)

**საკრამენტო 101:105 კლიპერსი**
**საკრამენტო:** არტესტი (29), მარტინი (23)
**კლიპერსი:** მობლი (26), მეჯიტი (19)

**31 მარტი**

**ჩიკაგო 108:112 კლივლენდი**
*ძირითადი დრო: 100:100*
**ჩიკაგო:** გორდონი (37), ტომასი (27), ჰაინრიხი (22 ქულა, 11 მოხსნა)
**კლივლენდი:** ჯეიმსი (39), ჰიუზი (21), პავლოვიჩი (21)

**პორტლენდი 86:99 კლიპერსი**
**პორტლენდი:** როი (23), ლაფრენცი (15)
**კლიპერსი:** მობლი (25), ბრენდი (17)

**ნიუ ჯერსი 86:82 ფილადელფია**
**ნიუ ჯერსი:** კარტერი (19), ჯეფერსონი (14)
**ფილადელფია:** მილერი (14 ქულა, 12 მოხსნა), სმიტი (14)

**ნიუ ორლეანი 103:94 ნიუ იორკი**
**ნიუ ორლეანი:** ვესტი (20), მეისონი (19)
**ნიუ იორკი:** კარი (34 ქულა, 13 მოხსნა), მარბერი (16)



# ყველა სინჯი და ბრინჯაო ბრინჯივით

## ფხაკაძემ ბაქოში ფხა გამოაჩინა

**საქართველოს** მოკრივეთა ნაკრები აზერბაიჯანეული „სილკ როუდის“ საერთაშორისო ტურნირიდან რვა მედლით დაბრუნდა. ავთანდილ შოშიაშვილის ბიჭებმა ერთი ოქრო, ორი ვერცხლი და ხუთი ბრინჯაო მოიპოვეს. გუნდის თავკაცმა ტრადიციულად ძლიერი შეჯიბრისთვის უძლიერესი შემადგენლობა შეარჩია — თერთმეტეული საქართველოს ჩემპიონობით შეავსო და ზედ ორი ვერცხლის პრიზიორიც დაამატა.

75 და 81 კილოგრამ წონით კატეგორიებში შიდა კონკურენციაში შედარებით თანაბრადაა შანსები განაწილებული და შოშიაშვილმაც ფინალისტებს ერთად მისცა საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცების შანსი. ანალოგიური ვითარებაა 64 კილოგრამშიც. წინასწარი გეგმით, აქაც ორი კაცით უნდა გამოვსულიყავით, მაგრამ ევროპის პრიზიორ კონსტანტინე კუპატაძის ბაქოში ჩხუბი წინასატურნირო თბილისურ შეკრებაზე გამოირიცხა.

ფინალისტი ქართველები „სილქ როუდის“ შეჯიბრის ორგანიზატორებმა პირველსავე წრეში ერთმანეთს შეახვედრეს და ორივე შემთხვევაში ვერცხლოსნებმა იმარჯვეს. გიორგი ნაკანმა (75 კგ) რევაზ ქარელიშვილს მოუგო, ხოლო დავით წიკლაურმა (81 კგ) — თორნიკე ივლაშვილს. გამარჯვებულებმა შემდეგ ეტაპებზეც რიგიანად იჩხუბეს და მხოლოდ ნახევარფინალში დაუცდათ ფეხი, თუმცა ამ დროს ბრინჯაოს მედლები უკვე განაღდებული ჰქონდათ.

ნახევარფინალში კიდევ ექვსმა ჩვენებურმა გააღწია. აქედან სამმა ფინალსაც უწია. ხოლო სამმა — ვასილ ყაზიშვილმა (60 კგ), ლევან ლვამიჩავამ (64 კგ) და კახა ქვანიამ (69 კგ) წააგეს და ქართულ ყულაბაში ხუთი ბრინჯაო მოგროვდა.

ზვიად ხადური (48 კგ) და ბექა ლობჟანიძე (+91 კგ) გადამწყვეტ ბრძოლებში დამარცხდნენ. კობა ფხაკაძემ (57 კგ) კი იქაც იმარჯვა და ჩემპიონი გახდა.

დანარჩენი სამი ჩვენებური საწყის ეტაპზევე შეაჩერეს. წონამომატებულმა ნიკოლოზ იზორიამ მშობლიური 54 კილოგრამის ნაცვლად ერთი წონით მაღლა — 57-ში სცადა ბედი, მაგრამ უშედეგოდ. წააგეს მერაბ თურქაძემ (51 კგ) და იაგო კილაძემაც (91 კგ).

**ოთარ მაღლაკელიძე**


კობა ფხაკაძემ ბაქოში ყველა გალახა

## მასტერსის სერია. კი ბისკეინი. აშშ. ჰარდი
22 მარტი-1 აპრილი. საპრიზო 6 900 000$

# შავი დევქალი თეთრ დროშას არ სცნობს


AFP კი ბისკეინიდან

### ქალები
**ფინალი**

სერენა უილიამსი (13, აშშ) — ჟუსტინ ენინი (2, ბელგია) 0:6 7:5 6:4

### კაცები
**ნახევარფინალი**

გილერმო კანასი (არგენტინა) — ივან ლიუბიჩიჩი (7 ხორვატია) 7:5 6:2
ნოვაკ ჯოკოვიჩი (10, სერბეთი) — ენდი მიური (12, ბრიტანეთი) 6:1 6:0

**შაბათს** კი ბისკეინში გამართულ ქალთა ფინალის მნახველს ალბათ გული დასწყდებოდა, რომ არ შეიძლება, მატჩს ორი გამარჯვებული ჰყავდეს — ორმა უმაღლესი დონის, დიდებულად და არანორმალური სპორტული ჟინით მოთამაშე სუპერჩოგბურთელმა ბრწყინვალე სანახაობა მოაწყო და პირთამდე გავსებული ტრიბუნები თუ ტელეეკრანებთან შეკრებილი მაყურებელი დიდად ასიამოვნა. ამ ეპიკურ ჯახში გამარჯვებული სერენა უილიამსი გამოვიდა, რომლის სათამაშო ფორმა გვაფიქრებინებს, რომ ქალთა ჩოგბურთში უკვე მივიწყებული უილიამსთა დომინანტობის ხანა ისევ ბრუნდება.

სერენა მართლაც შთამბეჭდავად გამოიყურებოდა ტურნირის მიმდინარეობისას და დამსახურებულადაც იმარჯვა. დამსახურებული ეთქმის, აბა რა, როცა გზად ამ შავმა დევქალმა თითქმის ყველა უშუალო კონკურენტი დასცა — ჯერ მარია შარაპოვას გადაურბინა, შემდეგ ამომავალი ჩეხი ვარსკვლავი ნიკოლ ვაიდიშოვა დაამარცხა და აგერ, ფინალში რეიტინგის სათავეში მოქცეულ ჟუსტინ ენინს გამოჰგლიჯა გამარჯვება.

არადა, მატჩი ისე დაიწყო, რომ სერენასგან წარმატებას კი არა, ბრძოლის მაგვარსაც არავინ მოელოდა. პირველ სეტში ჭინკა ბელგიელმა ნამდვილი ჯოჯოხეთი მოუწყო უმცროს უილიამსს და კინკილა გეიმიც არ აღებინა. თუმც მეორე პარტიაში სერენა ოდნავ გამოცოცხლდა, მოწოდებაც დაალაგა და უკანა ხაზიდანაც ჩვეულად მძლავრად თამაში გაახალა. მიუხედავად ამისა, მცირე უპირატესობა მაინც ბელგიელის მხარეს იყო, რის დასტურადაც სეტის მიწურული იქცა, როცა ენინმა თითქოს გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა. ჟუსტინს 5:4 მიჰყავდა და ორი მატჩ-პოინტიც ჰქონდა — აქ ბელგიელს უნდა მოეგო, უბრალოდ, ვალდებული იყო, გამოეყენებინა ასეთი უპირატესობა. მაგრამ სერენა ის ჩოგბურთელი არაა, ვისაც იოლად დანებება სჩვევია — ამერიკელმა ჯერ მდგომარეობა გააყაიმა, შემდეგ კი ბრეიკიც გააკეთა და მეტოქის მოგებული სეტის საპასუხოდ მეორე პარტია სათავისოდ დაასრულა.

„თეთრი დროშის გამოფენა არასოდეს მჩვევია. ყოველთვის ბოლომდე ვიბრძვი, რადგანაც იმედი არასოდეს უნდა მოიკლა — ნებისმიერი მდგომარეობის შემოტრიალება შეიძლება, რაც დღესაც დავამტკიცე. ეს კი ამ გამარჯვებას უფრო ძვირფასს ხდის" — ხარობდა ნამატჩევს უმცროსი უილიამსი.

მესამე და გადამწყვეტი სეტი კი თავიდანვე სერენას აშკარა უპირატესობით დაიწყო და ფაქტობრივად ეგრევე ჩაიარა. მართალია, ენინმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა და ერთ მომენტში მდგომარეობაც გაათანაბრა, მაგრამ ამერიკელთან ჯახის გასაგრძელებლად ფიზიკურად მზად არ აღმოჩნდა და წააგო კიდეც. სერენამ კი ბისკეინში უკვე მეოთხედ იმარჯვა — მასზე მეტჯერ ფლორიდულ კორტებზე მხოლოდ შტეფი გრაფს მოუგია, მან მქ ხუთჯერ იჩემპიონა.

კაცთა ფინალში კი ერთმანეთს ნოვაკ ჯოკოვიჩი და გილერმო კანასი შეხვდებიან. განსაკუთრებულ გაკვირვებას ამ უკანასკნელის ასეთი წარმატებული გამოსვლა იწვევს — ორ კვირაში როჯერ ფედერერის ორჯერ დამცემი არგენტინელისგან არავინ მოელოდა ფინალში გასვლას. ყველას ეგონა, რომ 29 წლის პატაგონიელი ამჯერადაც დიადი ალპელის დამარცხებით გამოწვეულ სიხარულს მიეცემოდა და თავს აღარ მოიკლავდა, მაგრამ — კანასმა ივან ლიუბიჩიჩსაც ადვილად გამოუყვანა წირვა და ახლა მასტერსის მოგების მშვენიერ შანსიც აქვს.

19 წლის ჯოკოვიჩი კი ეცდება, ორი კვირის წინ ინდიან უელსში დაშვებული შეცდომები არ გაიმეოროს და ფლორიდულ მასტერსზე მაინც იხეიროს. სხვათა შორის, სერბი მხოლოდ მესამე თინეიჯერია, ვინც კი ბისკეინის ფინალში ითამაშებს — აქამდე იგივე ანდრე აგასიმ (1990 წელს) და რაფაელ ნადალმა (ორი წლის წინ) შეძლეს.

გარდა ამისა, ჯოკოვიჩი მეოთხე თინეიჯერია, რომელიც ზედიზედ ორი მასტერსის ფინალში ახერხებს გასვლას. მანამდე იგივე აგასიმ (1990), ანდრეი მედვედევმა (1994) და ნადალმა (2005-06წწ) მოახერხეს.

**ბაჩა ლომაძემილი**



## რეგულარული ჩემპიონატი


ვენსან ლეკავალიემ სეზონში 50-გოლიან ზღვარს გადააჭარბა

30 მარტი

**ოტავა 5:2 მონრეალი**
*3:1 0:0 2:1*
1:0 ფიშერი (5), 2:0 სპეცა (7), 2:1 სურეი (11), 3:1 კომრი (19), 3:2 შტრაიტი (43), 4:2 ფიშერი (57), 5:2 პიტლი (60)

**ნიუ ჯერსი 3:1 ფილადელფია**
*0:0 2:0 1:1*
1:0 რაპი (39), 2:0 ზეიდტაკი (40), 2:1 განიე (49), 3:1 პანდოლფო (49)

**კაროლინა 2:4 ტამპა**
*1:1 1:1 0:2*
1:0 კოული (7), 1:1 სენ ლუი (18), 2:1 კომოდორი (24), 2:2 პროსპალი (36), 2:3 კუბა (51), 2:4 ლეკავალიე (56)

**სან ხოსე 4:2 ფინიქსი**
*0:0 2:1 2:1*
1:0 როსმილერი (25), 2:0 ერპოფი (38), 2:1 შოსტრომი (39), 3:1 პენენი (45), 4:1 ჩიჩუ (46), 4:2 რაინპრეხტი (49)

**ბუფალო 6:4 აილენდერსი**
*5:1 0:0 1:3*
1:0 როი (3), 1:1 ბლეიკი (5), 2:1 ვანეკი (8), 3:1 დრური (11), 4:1 სტაფორდი (11), 5:1 დრური (15), 5:2 კოზლოვი (43), 5:3 პოტი (46), 6:3 ზუბრუსი (53), 6:4 კოზლოვი (60)

**ფლორიდა 3:2 ვაშინგტონი**
*1:1 1:1 0:0 1:0 (ოვერტაიმი)*
0:1 კლეპიში (7), 1:1 კემპბელი (15), 1:2 კლარკი (23), 2:2 ჟელინა (30), 3:2 ჟელინა (63)

**დეტროიტი 3:4 დალასი**
*1:0 2:0 0:3 0:0 (0:1 ბულიტები)*
1:0 ბერტუცი (8), 2:0 მოლტბი (22), 3:0 დრეიპერი (35), 3:1 მოროუ (52), 3:2 რიბეირო (57), 3:3 ბუშე (58)

**ჩიკაგო 3:1 კოლუმბუსი**
*2:0 1:1 0:0*
1:0 შარპი (15), 2:0 პავლატი (16), 3:0 ლაპოინტი (32), 3:1 ჩიმერა (32)

31 მარტი

**ბოსტონი 2:3 ატლანტა**
*0:1 1:1 1:1*
0:1 კოვალჩუკი (1), 0:2 დუპრიზი (30), 1:2 შტურმი (39), 2:2 კალუში (56), 2:3 ტკაჩუკი (60)

**კოლორადო 2:1 მინესოტა**
*0:1 2:0 0:0*
0:1 გაბორიკი (2), 1:1 ლაილზი (25), 2:1 შჩასტნი (34)

**ტორონტო 5:4 პიტსბურგი**
*2:1 2:1 0:2 1:0 (ოვერტაიმი)*
1:0 კილგერი (5), 1:1 რობერტსი (7), 2:1 პონიკაროვსკი (19), 3:1 კაბერლე (24), 4:1 მაკეიბი (32), 4:2 ტელბოტი (37), 4:3 კროსბი (56), 4:4 უიტნი (60), 5:4 კაბერლე (64)

**ფილადელფია 4:6 რეინჯერსი**
*1:3 2:3 1:0*
0:1 პოკი (4), 1:1 იგერი (4), 1:2 კელაპენი (6), 1:3 იაგრი (12), 2:3 იგერი (24), 2:4 იაგრი (27), 2:5 სტრაკა (28), 3:5 კობერნი (34), 3:6 პრუხა (40), 4:6 პოტულნი (42)

**მონრეალი 5:3 ბუფალო**
*1:1 2:1 1:1*
0:1 ბრიარი (10), 1:1 რაიდერი (16), 2:1 ბონკი (27), 3:1 ლაპიერი (29), 3:2 ვანეკი (39), 4:2 კოივუ (44), 4:3 ზუბრუსი (48)

**აილენდერსი 2:5 ოტავა**
*0:1 1:1 1:3*
0:1 შუბერტი (20), 1:1 კოზლოვი (32), 1:2 კომრი (32), 1:3 კომრი (41), 1:4 მაკამონდი (45), 2:4 ბერჟერონი (54), 2:5 პიტლი (59)

**ტამპა 5:2 ვაშინგტონი**
*2:1 1:0 2:1*
1:0 ლეკავალიე (1), 1:1 პეტინგერი (12), 2:1 კრეიგი (14), 3:1 ბოილი (39), 4:1 სენ ლუი (48), 4:2 ბრედლი (60), 5:2 უარდი (60)

**სენტ ლუისი 2:3 ანაჰაიმი**
*1:1 0:1 1:0 0:1 (ოვერტაიმი)*
0:1 ს. ნიდერმაიერი (2), 1:1 ბექსი (15), 1:2 მაკდონალდი (31), 2:2 სტემპნიაკი (47), 2:3 მაკდონალდი (61)

**ნეშვილი 2:4 დალასი**
*1:3 1:0 0:1*
0:1 ჰელპერნი (3), 0:2 იოკინენი (5) 1:2 ზენონი (7), 1:3 ბარნსი (14), 2:3 რადულოვი (34), 2:4 მოდანო (51)

**ვანკუვერი 2:3 კალგარი**
*0:1 0:2 2:0*
0:1 ლენგკოუ (5), 0:2 კონროი (22), 0:3 ჰუსელიუსი (24), 1:3 მორისონი (47), 2:3 ნესლუნდი (57)



## მსოფლიოს ჩემპიონატი სატრეკო ველორბოლაში
პალმა დე მალიორკა. ესპანეთი. 29 მარტი –1 აპრილი

### კაცები

**კეირინი** 1. კრის ჰოი (ბრიტანეთი); 2. თეო ბოსი (ჰოლანდია); 3. როს ედგარი (ბრიტანეთი)

**სკრეტჩი 15 კმ** 1. კიმ ჰო ვონგი (ჰონკონგი); 2. ვიმ სტრუტინგა (ჰოლანდია); 3. რაფაელ რატაიჩიკი (პოლონეთი)

**რბოლა ქულებზე 40 კმ** 1. ხუან ლიანერას როსელო (ესპანეთი) 76 ქულა; 2. ილო კაისე (ბელგია) 55; 3. მიხაილ იგნატიევი (რუსეთი) 52

**გუნდური გამოდევნება 4 კმ** 1. ბრიტანეთი (კლენსი, ჯერაინტი, მენინგი, ვიგინსი) 3 წთ 57,468 წმ; 2. უკრაინა (პოლეტაიკო, პოლიშჩუკი, პოპკოვი, შვედოვი) 4.03,280; 3. დანია (იორგენსენი, მადსენი, მორკოვი, რასმუსენი) 4.04,093

### ქალები

**ინდივიდუალური გამოდევნება 3 კმ** 1. სარა ჰამერი (აშშ) 3.30,213; 2. რებეკა რომერო (ბრიტანეთი) 3.33,409; 3. კეტი მაკტირი (ავსტრალია) 3.36.306

**ადგილიდან ჰიტი 500 მ** 1. ანა მაირსი (ავსტრალია) 33,588 წმ (მსოფლიოს რეკორდი); 2. ლისანდრა როდრიგეს გერა (კუბა) 34,015; 3. ნატალია ცილინსკაია (ბელარუსი) 34,430

**სპრინტი** 1. ვიქტორია პენდტლონი (ბრიტანეთი); 2. შუან ჰუ (ჩინეთი); 3. ანა მაერსი (ავსტრალია)

**სკრეტჩი 10 კმ** 1. იუმანი გონსალეს ვალდივიესო (კუბა); 2. მარია ლუისა კალე-უილიამსი (კოლუმბია); 3. ადრი ფისერი (ჰოლანდია)


ანა მაირსმა ჩემპიონობა მსოფლიოს რეკორდით დაამშვენა

AFP პალმა დე მალიორკადან

**მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში** მელბურნი. ავსტრალია. 17 მარტი - 1 აპრილი

# რატომ მიკეთებ?!
## ფელპსის რეკორდი კროკერმა შეჭამა

საზოგადოდ ასეა და მათ შორის ცურვაშიც, სპორტსმენი თავად განაგებს საკუთარ ბედს და შედეგს. მიცურავ შენს საწყალოსნო ბილიკზე და ხელს არავინ გიშლის, მაგრამ ხანდახან სხვათა კისერზე და მარიფათზეც ჰკიდია შენი მედალი, მაგალითად, ესტაფეტის ტიპის გაცურვისას.


AFP მელბურნიდან
ცურვის ფენომენი მაიკლ ფელპსი

**მაიკლ ფელპსი** მსოფლიოს ჩემპიონის ერთი წოდებისთვის არ იკლავს თავს, მას ეს ტიტული უკვე ათეულზე მეტიც აქვს. თანამედროვეობის უძლიერეს მოცურავეს ყველა დროის უძლიერესობაზე აქვს პრეტენზია — 60-70-იანი წლების თანამემამულე ლეგენდის მარკ სპიცის ჩამოგდება უნდა სპორტის ამ სახეობის მეფის ტახტიდან. სპიცმა 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადაზე შვიდი ოქროს მედალი მოიგო და ეს რეკორდი ოლიმპიადებსა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე დღემდე ხელუხლებელ მიღწევად რჩებოდა. 2001 წლის ფუკუოკას მსოფლიო პირველობაზე ავსტრალიელმა იან ტორპმა ექვსი ოქრო მოიპოვა — სამი ინდივიდუალურ და სამიც ესტაფეტურ დისციპლინებში.

ფელპსმა მელბურნში რვა ოქრო დაგეგმა, ხუთი ინდივიდუალური და სამი ესტაფეტური და დაიწყო: მოიგო 2 კომბინირებული გაცურვა, 2 ბატერფლაის დისციპლინა, 1 თავისუფალი (ამ ხუთიდან 4 მსოფლიო რეკორდით მოიგო), 2 ესტაფეტა და... შერჩა მხოლოდ შვიდი ოქრო, რადგა ერთ-ერთ ესტაფეტაზე, 4X100 მეტრ კომბინაციურ გაცურვაში, ამერიკის ნაკრები დისკვალიფიკაციით დასაჯეს და მოხსნეს. მიზეზი ერთ-ერთი მონაწილის ფალსტარტი, ანუ ნაადრევი გადახტომა იყო.

ნახევარფინალურ გაცურვაში ამერიკელები ფავორიტებად ითვლებოდნენ და იმდენად მძლავრი შემადგენლობა ჰყავდათ, რომ ფელპსი არც კი მონაწილეობდა ამ გაცურვაში. მის საქმეს სხვა აკეთებდა, დასვენებული ვარსკვლავბიჭუნა კი ფინალში გამოვიდოდა, გუნდს გამარჯვებაში დაეხმარებოდა და რვიდან ერთ-ერთ ოქროსაც ჩაიწკრიალებდა.

არ გამოვიდა...

აქვე, მელბურნში 200 მეტრ გულაღმა გაცურვაში გაჩემპიონებულმა რაიან ლოჩტემ დაიწყო ამერიკელთა გამოსვლა და კარგა გვარიანადაც დაწინაურდა. 100 მეტრი ბრასი სკოტ აშერს უნდა გაეცურა და ამანაც კარგად გაართვა საქმეს თავი. მის კვალად კი 100 მეტრი ბატერფლაის დიდვარსკვლავი იან კროკერი გადაეშვა აუზში, ბოლო 100 მეტრი კი თავისუფალი სტილით ნილ უოლკერს უნდა გაეცურა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კროკერი ბაქანს 0,04 წამით ადრე მოსწყდა, ვიდრე აშერმა აუზის კედელზე თავისი ხელი ალბეჭდა, ეს კი ფალსტარტად ითვლება და მორიგი ოქროს მოსახვეჭად გამზადებული ამერიკელები საერთოდ მოხსნეს დისციპლინიდან. ასე დაკარგა ფელპსმა მე-8 ოქრო, რითაც მსოფლიოს ჩემპიონატების რეკორდსმენ ტორპს კი გადაასწრო, მაგრამ სპიცზე წინ ვეღარ წავიდა.

ისე, ფელპსი ფენომენი რომაა, ამას დიდი ფიცი-მტკიცი აღარ სჭირდება. მან ოქროთა უმრავლესობა მსოფლიოს რეკორდით მოიგო, მხოლოდ 100 მეტრ ბატერფლაიში გაუჭირდა იმ ავადსახსენებელი იან კროკერის ძლევა — ოდენ 0,05 წამით აჯობა. სხვათა შორის, ამ სახეობაში რეკორდსმენი სწორედ კროკერია.

ფელპსი იმდენად იყო გულმოსული 4X100 კომპლექსში ოქროს დაკარგვით, რომ 400 მეტრს პირად კომპლექსურ გაცურვაში ყველას კუდით ქვა ასროლინა. ცოტა გულაღმა 100 მეტრი ჩააგდო, თორემ დანარჩენი სამი სტილით ისე ისხმარტალა, ერთი კვირის მშიერი თეთრი ზვიგენი ვერ დაეწეოდა — თავისივე მსოფლიო რეკორდს ორ წამზე (!) მეტი მოაკლო.

**კოტე ყორშია**

# მაგარი ხალხი სპორტშიც მაგარია

**ხორვატიას** ცურვაში ერთი პრიზიორიც კი არ ჰყავს, მაგრამ სამაგიეროდ, ჰყავს მსოფლიოს ჩემპიონი გუნდი წყალბურთში. ხორვატებმა ნახევარფინალში დანასისხლად გადაკიდებულ სერბებს 10:7 სძლიეს და ფინალში ისტორიულად ძლიერ უნგრეთის ნაკრებთან უდაძაბულესი ბრძოლის შემდეგ მოუტანეს ჭადრაკოვანი დროშის ქვეყანას პირველი მსოფლიოს ტიტული. თანაც ეს ხორვატიის ერთადერთი მედალია მელბურნში.

ფინალში ხორვატებს უდაძაბულესი ბრძოლა გადახდათ უნგრელებთან. თამაში ლამის ბურთი ბურთში მიდიოდა და ოთხი პერიოდი ფრედ — 6:6 დასრულდა. ჩემპიონი ვერც პირველმა დამატებითმა დრომ გამოავლინა და ხორვატიამ მხოლოდ მეორე ოვერტაიმში გატანილი ერთადერთი, პავო მარკოვიჩის 7-მეტრიანი გოლით 9:8 იმარჯვა.

სერბებს კი ბრინჯაოს მედალიც არ შეხვდათ. ასევე დაძაბული და ამავდროულად უხვგოლიანი შეხვედრა მათ 17:18 დათმეს ესპანელებთან.

# ტორპი: სუფთა ვარ



**ავსტრალიელებს** სადარდებლად ისიც ეყოფათ, მელბურნში თანამემამულეთა თვალწინ ოზმა ბიჭებმა სულ რომ ჩაიფლავეს და ქვეყანა ქალების იმედად დატოვეს. მათ სათაყვანო სპორტსმენს, აწ გადამდგარ იან ტორპს მოულოდნელად დოპინგ-სკანდალი აუგორდა. 2006 წლის მაისში აღებულ მის სისხლში ტესტოსტერონის ოდნავ მაღალი შემცველობაა აღმოჩენილი, ეს კი დოპინგად ითვლება.

ტორპი შარშანდელს აქეთ აღარ ცურავს დიდ აუზებში, აქტიური სპორტიდან სულ რაღაც 23 წლის ასაკში წავიდა, ახლა კი ამ ამბით გაოგნებული 5-გზის ოლიმპიური და 11-გზის მსოფლიოს ჩემპიონი ცდილობს, ხალხი დაარწმუნოს, რომ სრულიად უბრალოა — „შოკში ვარ! არ ვიცი, რა ხდება. ვინც მიცნობს, ყველამ იცის, რომ სუფთა ვარ, ათეულობით სპორტული მოხელე დამიდასტურებს, რომ ყოველთვის სასტიკად ვეწინააღმდეგებოდი დოპინგის ხმარებას. მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ხშირად შემოწმებად სპორტსმენად ვითვლებოდი და არასდროს, ვიმეორებ, არასდროს ვყოფილვარ შემჩნეული ასეთ რამეში. იმედი მაქვს, ამ გაუგებრობას მალე მოეფინება ნათელი."

## ცურვა

### კაცები. 100 მ. ბატერფლაი
1. მაიკლ ფელპსი (აშშ) 50,77; 2. იან კროკერი (აშშ) 50,82; 3. ალბერტ სუბირაც ალტესი (ვენესუელა) 51,82;

### კაცები. 400 მ. კომპლექსური ესტაფეტა
1. მაიკლ ფელპსი (აშშ) 4.06,22; 2. რაიან ლოჩტე (აშშ) 4.09,74; 3. ლუკა მარინი (იტალია) 4.09,88

### კაცები. 50 მ. გულაღმა
1. გერჰარდ ზანდბერგი (სამხრეთ აფრიკა) 24,98; 2. ტომას რუპრატი (გერმანია) 25,20; 3. ლიამ ტენკოკი (ბრიტანეთ) 25,23

### კაცები. 1 500 მ. თავისუფალი
1. მატეუშ სავრიმოვიჩი (პოლონეთ) 14.45,94; 2. იური პრილუკოვი (რუსეთი) 14.47,29; 3. დავიდ დევისი (ბრიტანეთი) 14.51,21

### კაცები. 4X100 მ. კომპლექსური ესტაფეტა
1. ავსტრალია (ველში, რიკარდი, ლოტერშტეინი, სალივანი) 3.34,93; 2. იაპონია 3.35,16; 3. რუსეთი 3.35.51

### კაცები. 50 მ. თავისუფალი
1. ბენჯამინ ვაილდმენ-ტობრინერი (აშშ) 21,88; 2. ქალენ ჯონსი (აშშ) 21,94; 3. სტეფან ნისტრანდი (შვედეთი) 21,97

### ქალები. 800 მ. თავისუფალი
1. კეიტ ციგლერი (აშშ) 8.18,52; 2. ლორე მანადუ (საფრანგეთი) 8.18,80; 3. ჰეილი პირსოლი (აშშ) 8.26,41

### ქალები. 4X400 მ. კომპლექსური ესტაფეტა
1. ავსტრალია (სიბუმი, ჯონსი, შიპერი, ლენტონი) 3.55,74; 2. აშშ 3.58,31; 3. ჩინეთი 4.01,97

### ქალები. 400 მ. კომპლექსური
1. კეტი ჰოფი (აშშ) 4.32,89; 2. იანა მარტინოვა (რუსეთი) 4.40,14; 3. სტეფანი რაისი (ავსტრალია) 4.41,19

### ქალები. 50 მ. თავისუფალი
1. ლიზბეტ ლენტონი (ავსტრალია) 24,53; 2. ტერეზა ალსამარი (შვედეთი) 24,62; 3. მარლინ ვენდპუისი (ჰოლანდია) 24,70

### ქალები. 50 მ. ბრასი
1. ჯესიკა ჰარდი (აშშ) 30,63; 2. ლიზელ ჯონსი (ავსტრალია) 30,70; 3. ტარა კირკი (აშშ) 31,05

### ქალები. 200 მ. გულაღმა
1. მარგარეტ ჰოლცერი (აშშ) 2.07,16; 2. კირსტი ქოვენთრი (ზიმბაბვე) 2.07,54; 3. რეიკო ნაკამურა (იაპონია) 2.08,54

## წყალბურთი

| კაცები. ფინალი | ქალები. ფინალი |
|---|---|
| ხორვატია 9:8 უნგრეთი | აშშ 6:5 ავსტრალია |
| მე-3 ადგილისთვის | მე-3 ადგილისთვის |
| ესპანეთი 18:17 სერბეთი | რუსეთი 9:8 უნგრეთი |

## ქვეყნები და მედლები

| | ო | ვ | ბ | ჯ |
|---|---|---|---|---|
| **წყალში ხტომა** | | | | |
| ჩინეთი | 9 | 4 | 1 | 14 |
| რუსეთი | 1 | 1 | 2 | 4 |
| კანადა | 0 | 3 | 0 | 3 |
| გერმანია | 0 | 1 | 3 | 4 |
| ავსტრალია | 0 | 1 | 1 | 2 |
| იტალია | 0 | 0 | 2 | 2 |
| აშშ | 0 | 0 | 1 | 1 |
| **ღია წყალი** | | | | |
| რუსეთი | 4 | 2 | 2 | 8 |
| გერმანია | 2 | 1 | 0 | 3 |
| ბრიტანეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| აშშ | 0 | 1 | 0 | 1 |
| იტალია | 0 | 1 | 0 | 1 |
| ავსტრალია | 0 | 0 | 2 | 2 |
| ეგვიპტე | 0 | 0 | 1 | 1 |
| საბერძნეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| **სინქრონული ცურვა** | | | | |
| რუსეთი | 6 | 1 | 0 | 7 |
| საფრანგეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| ესპანეთი | 0 | 4 | 2 | 6 |
| იაპონია | 0 | 2 | 4 | 6 |
| აშშ | 0 | 0 | 1 | 1 |
| **წყალბურთი** | | | | |
| ხორვატია | 1 | 0 | 0 | 1 |
| აშშ | 1 | 0 | 0 | 1 |
| უნგეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| ავსტრალია | 0 | 1 | 0 | 1 |
| ესპანეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| რუსეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| **ცურვა** | | | | |
| აშშ | 20 | 13 | 3 | 36 |
| ავსტრალია | 9 | 5 | 7 | 21 |
| საფრანგეთი | 2 | 2 | 2 | 6 |
| ს. აფრიკა | 2 | 0 | 1 | 3 |
| იაპონია | 1 | 2 | 4 | 7 |
| პოლონეთი | 1 | 2 | 1 | 4 |
| იტალია | 1 | 1 | 3 | 5 |
| შვედეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| ტუნისი | 1 | 1 | 0 | 2 |
| კანადა | 1 | 0 | 1 | 2 |
| კორეა | 1 | 0 | 1 | 2 |
| უკრაინა | 1 | 0 | 1 | 2 |
| გერმანია | 0 | 3 | 1 | 4 |
| ჰოლანდია | 0 | 2 | 3 | 5 |
| რუსეთი | 0 | 2 | 2 | 4 |
| ზიმბაბვე | 0 | 2 | 0 | 2 |
| ბრიტანეთი | 0 | 1 | 3 | 4 |
| ჩინეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| ბელარუსი | 0 | 1 | 0 | 1 |
| შვეიცარია | 0 | 1 | 0 | 1 |
| ავსტრია | 0 | 0 | 1 | 1 |
| დანია | 0 | 0 | 1 | 1 |
| უნგრეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| ვენესუელა | 0 | 0 | 1 | 1 |
| **ყველა სახეობის ჯამი** | | | | |
| აშშ | 21 | 14 | 5 | 40 |
| რუსეთი | 11 | 6 | 7 | 24 |
| ავსტრალია | 9 | 7 | 10 | 26 |
| ჩინეთი | 9 | 5 | 2 | 16 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 2 | 7 |
| გერმანია | 2 | 5 | 4 | 11 |
| ს. აფრიკა | 2 | 0 | 1 | 3 |
| იაპონია | 1 | 4 | 8 | 13 |
| კანადა | 1 | 3 | 1 | 5 |
| იტალია | 1 | 2 | 5 | 8 |
| პოლონეთი | 1 | 2 | 1 | 4 |
| შვედეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| ტუნისი | 1 | 1 | 0 | 2 |
| კორეა | 1 | 0 | 1 | 2 |
| უკრაინა | 1 | 0 | 1 | 2 |
| ხორვატია | 1 | 0 | 0 | 1 |
| ესპანეთი | 0 | 4 | 3 | 7 |
| ჰოლანდია | 0 | 2 | 3 | 5 |
| ბრიტანეთი | 0 | 2 | 3 | 5 |
| უნგრეთი | 0 | 2 | 1 | 3 |
| ზიმბაბვე | 0 | 2 | 0 | 2 |
| ბელარუსი | 0 | 1 | 0 | 1 |
| შვეიცარია | 0 | 1 | 0 | 1 |
| ავსტრია | 0 | 0 | 1 | 1 |
| დანია | 0 | 0 | 1 | 1 |
| ეგვიპტე | 0 | 0 | 1 | 1 |
| საბერძნეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| ვენესუელა | 0 | 0 | 1 | 1 |

# ქართველების უკრაინა მარიუპოლით იწყება

**23-27 მარტს უკრაინის ღია პირველობის მესამე ტურის მატჩები გაიმართა, სადაც საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა სამი თამაშიდან ორი მოიგო, ერთში კი დამარცხდა. პირველი მეტოქე ბელარუსის საკმაოდ ძლიერი ნაკრები იყო, რომელსაც ჩვენებმა დაძაბულ ბრძოლაში 12:8 აჯობეს. მარიუპოლის მეორე გუნდთან ინიციატივას თავიდანვე ქართველები დაეუფლნენ, უკრაინელებს გასაქანი არ მისცეს და საბოლოოდ დამაჯერებლად მოუგეს — 16:11. ბოლო შეხვედრა პირველობის ლიდერ „მარიუპოლ 1-თან" გამართეს და სატურნირო თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს თამაშში 9:13 დამარცხდნენ. ჩვენი გუნდი მეორე ადგილზეა და გამარჯვების შემთხვევაში ჩემპიონატის მთავარმეტოქეს ერთ ნაბიჯში მიუახლოვდებოდა. ახლა კი ლიდერმა სოლიდური ფორა მიიღო და ძნელად თუ ვინმე დაეწევა. თუმცა მესამე ტურში ერთი საჩვენო ამბავი მაინც მოხდა — ლვოვის გუნდმა, რომელთანაც აქამდე მეორე ადგილს ვიყოფდით, ხარკოვთან წაიფორხილა და სამი ქულით გასწრების შასი მოგვცა. მომდევნო ტურში სწორედ ლვოვს შევხვდებით და გამარჯვების შემთხვევაში მეორეობის შემცილებელი პრაქტიკულად აღარ რჩება. თბილისში დაბრუნებულმა ნაკრების თავკაცმა სოსო მაისურაძემ უკრაინაში ჩატარებულ თამაშებზე უფრო დაწვრილებით მოგვითხრო**



— ბელარუსის ნაკრებთან საწყისი ორი პერიოდი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. მეტოქის გატეხვა მესამე ტაიმში მოვახერხეთ. გამარჯვებაში ლომის წილი გიორგი ხვედელიანმა და გალაქტიონ ლაითაძემ დაიდეს. ხვედელიანი მხოლოდ ამ თამაშში დაგვეხმარა. დარჩენილი ორი ტური მის გარეშე ვითამაშეთ.

ბელარუსის დამარცხება ორმაგად მნიშვნელოვანი იყო. რაც არ უნდა იყოს, მეტოქეს ნაკრების სტატუსი ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ბელარუსის ნაკრები ივლისში მანჩესტერში გასამართ ევროპირველობაზეც იასპარეზებს, ასე რომ, ხელწამოსაკრავი მეტოქე არ გახლავთ.

„მარიუპოლ მეორეს" მართლაც იოლად მოვუგეთ. თავიდანვე აგრესიულად დავიწყეთ, სივრცეები შევუზღუდეთ და კონტრშეტევის შანსი არ მივეცით, რაც ანგარიშშიც მალე აისახა. ბოლო წუთებში ახალგაზრდების გამოცდაც მოვასწარით.

აი, „მარიუპოლ 1-თან" კი მაგარი ომი გვქონდა. სამწუხარო ის არის, რომ ამ დროს ლეგიონერთა ნაწილი უკვე კლუბებში იყო წასული და ფაქტობრივად უკრაინის ნაკრებს ექსპერიმენტული შემადგენლობით ვეთამაშეთ. ბევრი კი ვეცადეთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით.

**— უკვე მესამე წელია, უკრაინის ჩემპიონატში გამოდიხართ. ამ დროის განმავლობაში პირველობის დონემ თუ აიწია. რამდენად იძლევა იქ ჩატარებული შეხვედრები წყალბურთელთა ზრდის საშუალებას?**

— პროგრესი აშკარაა. დონე წლიდან წლამდე კი არა, ყოველთვე იზრდება. ამას ხელს კლუბების მყარი ფინანსური ბაზა უწყობს. მაგალითად „ხარკოვმა", რომელიც წინა ტურებში არცთუ დამაჯერებლად გამოიყურებოდა, ოთხი ლეგიონერის დამატება მოახერხა და ახლა უკვე სოლიდურ ძალას წარმოადგენს.

**— ჩვენს ახალგაზრდებზეც ვთქვათ. უკრაინაში სამი დებიუტანტი იახლეთ. მათ როგორ წარმოაჩინეს თავი?**

— თავი არ შეურცხვენიათ. თავიდან ცოტა კი დაიბნენ, მაგრამ მოახერხეს კონცენტრაცია და დაკისრებულ დავალებასაც გაართვეს თავი. მათი სახით კარგი შემცვლელები გვეზრდება. სამი წყალბურთელი სხვისთვის შეიძლება არაფერს ნიშნავდეს, ჩვენთვის კი დიდი ძალაა. რაც შეეხება სხვებს — სანდრო რუსიშვილისგან მეტს ველოდი. ნამდვილად ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობები ბოლომდე. მიზეზი ისიც არის, რომ რუსეთში პატარებში უწევს თამაში, დიდებთან შეხება არ აქვს. მისთვის კი უფრო მაღალი დონეა საჭირო. ეს ბიჭი პატარებში სათამაშო ნამდვილად აღარაა.

დიდებიდან გალაქტიონ ლაითაძე და ზურა რურუა გამოირჩნენ 9-9 ბურთით. რურუა გუნდის კაპიტანი და ნამდვილი ლიდერია.

**— უკრაინაში გამგზავრებამდე გვითხარით, რომ თქვენი ბიუჯეტი ამოიწურა და მომდევნო ტურში წასვლას ვეღარ შევძლებთ. ამ მხრივ ხომ არ შეიცვალა რამე?**

— იგივე სიტუაციაა. ბედად, მეოთხე ტური 17-ში კი არა, 23 აპრილს დაიწყება. ანუ ცოტა უფრო მეტი დრო გვაქვს იმისთვის, რომ თანხა გამოინახოს. იმედია, შესაბამისი სამსახურები დაგვეხმარებიან. უკრაინის მეოთხე ტურში მონაწილეობისთვის 25 ათასი ლარია საჭირო.

**ლევან მაისურაძე**



ქალთა და კაცთა ევროპის ჩემპიონატი

დრეზდენი. გერმანია

2-16 აპრილი

# ცხრამეტი ქართველი ევროპას დაეტოლება

**დღეს** დრეზდენში ევროპის ქალთა და ვაჟთა მე-8 ჩემპიონატი იწყება. გათამაშებაში 43 ქვეყნის 600 მოჭადრაკე მონაწილეობს და მათ შორის 19 ქართველია.

კაცებიდან ჩვენი ქვეყნის ღირსებას დაიცავენ ბაადურ ჯობავა, გიორგი ყაჭეიშვილი, დავით არუთინიანი, დავით ლობჟანიძე, მიხეილ მჭედლიშვილი, თორნიკე სანიკიძე, კონსტანტინე შანავა და დავით შენგელია. ქალებში უფრო მეტი, 11 მონაწილე გვყავს: ქეთევან არახამია-გრანტი, მარიამ დანელია, ნანა ძაგნიძე, სოფიკო გურამიშვილი, სოფიო გვეტაძე, ლელა ჯავახიშვილი, სოფიკო ხუხაშვილი, ნინო ხურციძე, მაია ლომინეიშვილი, სალომე მელია და თამარ წერეთელი.

ჩემპიონატის საპრიზო ფონდი 200 ათასი ევროა. აქედან კაცთა შორის გამარჯვებული 20 ათასს მიიღებს, ქალებში ჩემპიონი კი - 10 ათასს. ჩემპიონატი შვეიცარიული სისტემით ტარდება და სულ 11 ტური გაიმართება.

კაცთა შორის ფავორიტი ვასილ ივანჩუკია. უკრაინელი დიდოსტატი უფრო ძლიერ ტურნირებზე თამაშობს ყოჩაღად და საეჭვოა, აქ გაუჭირდეს.

ქალებში რეიტინგით ყველაზე ძლიერი ნადეჟდა კოსინცევაა, თუმც ივანჩუკივით დიდი სახელი არ აქვს და ფავორიტებშიც არ მოიხსენიებენ.

**ლაშა გეგეჭკორი**


# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 2 აპრილი | | | | | | |
| 23:00 | 1 | ასტონ ვილა-ევერტონი | 2.50 | 3.20 | 2.75 | 1.40 | 1.30 | 1.47 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 3 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 23 | ბარნსლი-პლიმუთი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 22:45 | 24 | ქპრ-პრესტონი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 3 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 73 | როჩდეილი-სუინდონი | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| 22:45 | 74 | შრუსბერი-ბერი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| | | ინგლისი. კონფერენცია | | | | | | |
| | | 3 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 95 | ალდერშოტი-კემბრიჯი | 2.40 | 3.30 | 2.50 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 22:45 | 100 | გრეივსენდი-ალტრინჩემი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 22:45 | 101 | რაშდენი -ვეიმუთი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 22:45 | 570 | ფორესტ გრინი-გრეისი | 2.05 | 3.30 | 3.10 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 22:45 | 571 | სტ.ალბანსი-მორეკემბი | 3.60 | 3.40 | 1.80 | 1.74 | 1.20 | 1.17 |
| 22:45 | 572 | სტივენიჯი-კიდერმინსტერი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 22:45 | 573 | ტემუორთი-ნორთვიჩი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 3 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 125 | მაზერველი-კილმარნოკი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 126 | სტ.მირენი-აბერდინი | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 136 | გრეტნა-გრინოკი | 4.50 | 3.70 | 1.60 | 2.03 | 1.18 | 1.11 |
| 22:45 | 137 | ქუინ-ჰამილტონი | 2.10 | 3.30 | 2.95 | 1.28 | 1.22 | 1.55 |
| 22:45 | 138 | როსი-პარტიკი | 2.25 | 3.40 | 2.65 | 1.35 | 1.21 | 1.48 |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 139 | ლივინგსტონი-კლაიდი | 2.35 | 3.40 | 2.50 | 1.38 | 1.21 | 1.44 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 145 | ბრეჩინი-მორტონი | 3.50 | 3.40 | 1.85 | 1.72 | 1.21 | 1.19 |
| 22:45 | 146 | ფორფარი-პიტერჰედი | 3.30 | 3.40 | 1.90 | 1.67 | 1.20 | 1.21 |
| 22:45 | 147 | რეითი-ეირი | 1.85 | 3.40 | 3.50 | 1.19 | 1.21 | 1.72 |
| 22:45 | 148 | სტრანრაერი-ალოა | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 149 | სტირლინგი-კოუდენბითი | 1.60 | 3.60 | 4.50 | 1.10 | 1.18 | 2.00 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 155 | დამბარტონი-არბროტი | 3.50 | 3.50 | 1.80 | 1.75 | 1.18 | 1.18 |
| 22:30 | 156 | ქუინს პარკ-ისტ სტირლინგი | 1.22 | 5.50 | 8.00 | 1.00 | 1.05 | 3.25 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 2 აპრილი | | | | | | |
| 22:15 | 566 | კაიზერსლაუტერნი-დუისბურგი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | იტალია. სერია C1/B | | | | | | |
| | | 2 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 567 | ტერამო-გალიპოლი | 2.15 | 2.60 | 3.80 | 1.17 | 1.37 | 1.54 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 2 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 304 | რეიმსი-ლე ავრი | 2.60 | 2.90 | 2.60 | 1.37 | 1.29 | 1.37 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 2 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 568 | სპორტინგი-ბეირა მარი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| | | თურქეთი | | | | | | |
| | | 2 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 372 | გენჩლერბირლიგი-ბეშიქთაში | 2.80 | 3.30 | 2.25 | 1.51 | 1.24 | 1.33 |
| 17:00 | 569 | ტრაბზონი-ფენერბაჩე | 2.85 | 3.30 | 2.30 | 1.52 | 1.27 | 1.35 |
| | | ჩეხეთი | | | | | | |
| | | 2 აპრილი | | | | | | |
| 19:15 | 398 | სპარტა-ბოლესლავი | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| | | ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 3 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 526 | მილანი-ბაიერნი | 2.00 | 3.20 | 3.80 | 1.23 | 1.31 | 1.73 |
| 22:45 | 527 | პსვ-ლივერპული | 2.90 | 3.10 | 2.45 | 1.49 | 1.32 | 1.36 |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 529 | რომა-მანჩესტერი | 2.65 | 3.10 | 2.65 | 1.42 | 1.32 | 1.42 |
| | | უეფას თასი | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 530 | ალკმაარი-ვერდერი | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| 22:45 | 531 | ესპანიოლი-ბენფიკა | 2.30 | 3.10 | 3.00 | 1.32 | 1.30 | 1.52 |
| 22:45 | 532 | ლევერკუზენი-ოსასუნა | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| 22:45 | 533 | სევილია-ტოტენჰემი | 1.75 | 3.20 | 4.80 | 1.13 | 1.28 | 1.91 |
| | | ჰოკეი. შვედეთი | | | | | | |
| | | 2 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 649 | ჰკ 71-მოდო | 2.00 | 4.00 | 2.40 | 1.33 | 1.09 | 1.50 |





## არგენტინა უკვე შიშობს

# ექიმმა მარადონა ღმერთს შეავედრა

**დიეგო მარადონას** პირადმა ექიმმა ალფრედო კაემ თქვა, ფეხბურთის მეფეს ღმერთის ხელი ყველაზე მეტად ახლა გამოადგებაო. რა შეხსენება გჭირდებათ, მაგრამ მაინც ვთქვათ: დიდმა დიეგომ 1986-ში მუნდიალზე ინგლისს ხელით რომ გაუტანა, იხტიბარი არ გაიტეხა და თქვა — კი, ეს მართლა იყო ხელით გატანილი გოლი, ოღონდ „ღმერთის ხელითო“.

ახლა მეფე ბუენოს აირესის გემესის ჰოსპიტალშია, ბოლო ხანებში სასმელს და ჰავანურ სიგარებს დაჩვევია და ძლივს გადარჩენილი კაცი კვლავ სამკურნალო გახდა.

„დიეგო ნაკროტიკებს აღარ ეკარება, თუმცა მის პრობლემად ალკოჰოლური სასმელებისადმი მიდრეკილება გადაიქცა“ — თქვა დოქტორმა კაემ.

ექიმს უნდა, რომ მარადონამ გემესის სანატორიუმში მკურნალობის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსი შვეიცარიულ ჰოსპიტალში გაიაროს.

— „ღმერთის ხელი“ მარადონას ახლა უფრო სჭირდება, ვიდრე მექსიკის ჩემპიონატზე. უფალს ვთხოვ, მის გამოჯანმრთელებაში დაგვეხმაროს“ — ამბობს სენიორ კაე.

ეტყობა, მართლა სერიოზულადაა საქმე...

**ლადო ხომერიკი**

# ...როცა უდიდოდ ძნელია ზინედინ ზიდანს დევიდ ბექემთან ექაჩებიან



**გერმანული** „ბილდის“ ცნობით, ზინედინ ზიდანი მზადაა, დიდ ფეხბურთს დაუბრუნდეს და „ლოს ანჯელეს გალაქსიში“ განაახლოს თამაში. ამერიკულმა კლუბმა სახელგანთქმულ ფრანგს სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა და ზიზუსაც უარი არ უთქვამს — დიდი შანსია, ზიდანი „გალაქსიში“ მისი ოდინდელი თანაგუნდელის დევიდ ბექემის გვერდით ვიხილოთ.

ზიზუმ ფეხბურთიდან წასვლა გერმანული მუნდიალის შემდეგ გადაწყვიტა. დიდსაფეხბურთო დონეზე ფრანგის მიერ ჩატარებული უკანასკნელი მატჩი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა იყო, სადაც იტალიელ მატერაცის მკერდში თავი აძგერა და მოედანი დატოვა.

„ბილდს“ თუ დავუჯერებთ, ფრანგი ფეხბურთში დაბრუნებას ფრიად მონდომებული და, სავარაუდოდ, „გალაქსისთან“ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

34 წლის ზიზუს „კანში“, „ბორდოში“, „იუვენტუსში“ და მადრიდის „რეალში“ უთამაშია. სულ ამ კლუბებში 492 მატჩი ჩაატარა და 95 გოლი გაიტანა.

საფრანგეთის ნაკრებში კი 108 შეხვედრაში 31 გოლი შეაგდო.

**ლადო ხომერიკი**

# სტივ მაკლარენი გინებამ გააძლიერა

**ინგლისის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სტივ მაკლარენმა აღნიშნა, რომ გადადგომაზე არც ფიქრობს.

ინგლისმა ბოლო მატჩი ანდორასთან ჩაატარა და 3:0 კი მოიგო, მაგრამ მაკლარენის შეგირდებმა სუსტი მეტოქე მხოლოდ მეორე ტაიმში გატეხეს და კვლავ უსახურად გაისარჯნენ. სტადიონზე მყოფი ინგლისელი ფანების დიდი ნაწილი კი შეურაცხმყოფელი შეძახილებით თუ სიმღერებით მიმართავდა მაკლარენს.

„მე საქმე მაქვს გასაკეთებელი და სანამ მას ბოლომდე არ მივიყვან, არ წავალ. ასე რომ, გადადგომას ნამდვილად არ ვაპირებ. ეს აზრად მაშინაც კი არ გამივლია, როცა ანდორასთან მატჩისას შეურაცხყოფას მაყენებდნენ. სტადიონზე ასე ცუდად ჩემთვის აქამდე არასდროს მოემართათ და ვფიქრობ, არც მომავალში მომმართავენ. რა თქმა უნდა, ცუდი გრძნობა იყო, მაგრამ დამატებითი გამოცდილება მივიღე და უფრო ძლიერი გავხდი“ — განაცხადა მაკლარენმა.

„მიდლსბროს“ ექსთავკაცმა ისიც თქვა, თუ როგორ დაარიგა შეგირდები ანდორასთან მატჩის შესვენებაზე: „მათ ვუთხარი, რომ თუ რამე არ გამოგვივიდოდა და საქმე ისევ ცუდად წავიდოდა, მთელ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებდი. ვუთხარი, რომ მე ამის გაძლება შემეძლო, ამიტომ გასულიყვნენ მინდორზე თავისუფლად, იქაური ატმოსფეროსა და ქომაგების ზეწოლისთვის ყურადღება არ მიექციათ და მაქსიმალურად ეცადათ მოგება.“

**კოკი კანდელაკი**

# ...და ისევ რონალდინიო რჩებაო, მაგრამ რჩება?



**„ბარსელონას“** ქომაგებს შეუძლიათ, თავისუფლად ამოისუნთქონ — რონალდინიო, სულ ცოტა, 2010 წლის ივნისამდე კატალონიაში ითამაშებს.

ეს ამბავი „ბარსელონას“ ხელმძღვანელობამ შაბათ საღამოს დაადასტურა — 31 მარტს ერთმანეთს კლუბის სპორტული დირექტორი ჩიკი ბეგირისტაინი, ვიცე-პრეზიდენტი ფერან სორიანო და რონის ძმა და აგენტი რობერტო დე ასისი შეხვდნენ და ფეხბურთელის ახალი კონტრაქტის თაობაზე ითათბირეს. რონალდინიო „ბარსელონასთან“ 2014 წლამდე ხელშეკრულებას ჯერ არ გააფორმებს, თუმცა წასვლაზეც არ ფიქრობს.

ჩიკი ბეგირისტაინი: „ახალი კონტრაქტის თაობაზე დაწვრილებით არ გვისაუბრია, რონალდინიოს წარმომადგენელს ეს არც უთხოვია. ჩვენ ვილაპარაკეთ იმაზე, თუ როგორ გრძნობს თავს „კამპ ნოუზე“ ეს ფეხბურთელი და სურს, ისევ „ბარსაში“ დარჩეს. ეს სურვილი ორმხრივია, „ბარსელონას“ ხელმძღვანელებს, ფეხბურთელებს და გულშემატკივრებს რონის წასვლა არ უნდათ — ის ხომ მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეა“.

სპორტული დირექტორის აზრით, ნორმალურია, რომ უცხოური კლუბები და, მათ შორის, განსაკუთრებით „მილანი“, კიჭას ხელში ჩაგდებას ცდილობენ.

„რონის „ბარსელონაში“ თამაში და ზედიზედ მესამედ ესპანეთის ჩემპიონობა სურს. ამიტომაც, სულერთია, რომელი კლუბიდან მიიღებს მიწვევას. დიდ ფეხბურთელებზე ევროპული გრანდები მუდამ ნადირობდნენ და მომავალშიც ასე იქნება“ — თქვა ბეგირისტაინმა.

მედია, ცხადია, რონალდინიოს ძმასაც გაესაუბრა: „მთავარია, რონის მშვიდი გარემო ჰქონდეს. შეხვედრამ კარგად ჩაიარა. მგონი, სამომავლო გეგმებზეც მალე შევთანხმდებით — კლუბთან მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს“ — აღნიშნა რობერტომ — „ბარსელონა“ შესანიშნავი გუნდია. აქ რონიმ დიდ წარმატებებს მიაღწია, ხალხის უზარმაზარი სიყვარული დაიმსახურა და სურს, ეს იდილია კიდევ გაგრძელდეს“.

**ლადო ხომერიკი**

# გაგრძელებული სიმაო 20 მილიონი ღირს

**ლისაბონის** „ბენფიკას“ ლიდერმა და კაპიტანმა სიმაო საბროსამ კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე გაახანგრძლივა, თუმც მის სახელს ისევ უკავშირებენ სხვადასხვა გრანდს, მათ შორის, „ლივერპულს“, „მანჩესტერ იუნაიტედს“, „ჩელსის“, „ინტერსა“ და „იუვენტუსს“.

შეგახსენებთ იმასაც, რომ შარშან ზაფხულს სიმაოს „ვალენსიაში“ გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო, თუმცა შეთანხმება ბოლო მომენტში ჩაიშალა.

„ბენფიკას“ პრეზიდენტმა ლუის ფელიპე ვიეირამ კი განაცხადა, თუ სიმაოს სანაცვლოდ ვინმე 20 მილიონ ევროს შემოგვთავაზებს, მის გაყიდვაზე ფიქრს მხოლოდ ამის მერე დავიწყებთო.

**გიორგი ძაძაბაძე**

## უთავო ლეირია

**პორტუგალიური** „ლეირიას“ მწვრთნელი დომინგუშ პასიენსია გუშინ, „აკადემიკასთან“ მატჩის წინ გადადგა. ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა, რომელმაც სამწვრთნელო კარიერა შარშან დაიწყო, გადადგომის მიზეზად ზოგი ფეხბურთელის უდისციპლინობა დაასახელა.

## იქეიფე? გაეთრიე!

**ლამის** კლუბში ქეიფის გამო სოფიის „ლევსკიმ“ გუნდიდან მოკვეთა მეკარე ნიკოლაი მიხაილოვი. მწვრთნელმა სტანიმირ სტოილოვმა თქვა, რომ მოსწყინდა 18 წლის ბიჭისთვის ჭკუის დარიგება, რომელიც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბორისლავ მიხაილოვის შვილია.

„მამამისს შევხვდები და ყველაფერს ვეტყვი. ყელში ამომივიდა მისი საქციელი. ფეხბურთის თამაშს ვერავის დავაძალებ“ — განაცხადა სტოილოვმა.

ნიკოლაი მიხაილოვმა ამას წინათ მანქანა დაამტვრია და შარიდან იოლად გამოძვრა.

## რეკობას მაინც აგრძელებენ

**მას შემდეგ,** რაც ალვარო რეკობამ „ინტერიდან“ წასვლის სურვილი გამოთქვა, კლუბმა ახალი კონტრაქტი შესთავაზა. ურუგვაელი დიდი ხანია, „ინტერშია“, მაგრამ ბოლომდე ვერა და ვერ გამოავლინა ნიჭი, რადგან მუდამ ტრავმებით იყო გატანჯული. მისი შეძენით „ტორინო“ და „სამპდორია“ დაინტერესდნენ, მაგრამ რეკობას აგენტს მასიმო მორატიმ უხმო და კონტრაქტის 2009 წლამდე გახანგრძლივებაზე ელაპარაკა.

ამ სეზონში ურუგვაელმა რვაჯერ ითამაშა ძირითად შემადგენლობაში და გოლი არ გაუტანა. იგი „ინტერში“ 1997 წლიდანაა.

**ვაჟა ხუციშვილი**







# შავი ფულის ისტორია

## ლუჩანო მოჯიმ ზინედინ ზიდანის ტრანსფერს ჯიბე შეუშვირაო...

**ტურინის** „იუვენტუსის“ ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა და კალჩოპოლის სკანდალის მთავარმა „გმირმა“ ლუჩანო მოჯიმ უარყო ინფორმაცია, თითქოს მან 2000 წელს ზინედინ ზიდანის „რეალში“ გადასვლის ნებართვისთვის ქრთამი — 6,1 მილიონი ევრო ითხოვა.

მოჯის ამაში ზიდანის, ტიერი ანრის, კლოდ მაკელელესა და პატრიკ ვიეირას ყოფილი აგენტი მარკ როჯერი ადანაშაულებს. აღსანიშნავია, რომ როჯერი ახლა შვეიცარიის ციხეში ზის — იგი „სერვეტის“-გაკოტრებისას კლუბის პრეზიდენტი გახლდათ და ფინანსურ მაქინაციებშია მხილებული.

როჯერი სკანდალური ავტობიოგრაფიული წიგნის გამოცემას აპირებს, რომელშიც ეს ამბავიც ყოფილა აღწერილი. ამბობენ, მოჯის გარდა ეს ცნობა უკვე მადრიდის „რეალის“ წარმომადგენლებმაც უარყვესო.

„მოჯიმ მითხრა, რომ თუ ზიდანი გვინდოდა, სატრანსფერო ფასის გარდა მისთვის 6,1 მილიონი ევრო უნდა მიგვეცა“ — უთქვამს როჯერს „ლე პარიზიენისთვის“.

ლუჩანო მოჯი: „როჯერი შვეიცარიის ციხიდან ლაპარაკობს და მას ჩემი ადვოკატი გასცემს პასუხს.“

**გიორგი ძაძამაძე**

# დე ლუკა სიენადან და ამ ქვეყნიდან წავიდა

**იტალიური** „სიენას“ ექსპრეზიდენტმა პაოლო დე ლუკა, როგორც კი კლუბი ფორმალურად ახალ მფლობელებს გადასცა, რამდენიმე საათში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

64 წლის დე ლუკა პარასკევს ნეაპოლში აღესრულა. იქ, სადაც დაიბადა. „სიენა“ კი მან ბიზნესმენ პიერლუიჯი ფაბრიცის ჩააბარა.

„საუბედუროდ, პაოლო დე ლუკამ დაგვტოვა. ჩვენთვის იგი ყოველთვის საოცნებო პრეზიდენტად დარჩება. ოცნებად, რომელიც ერთხელ აგვიხდა. მის მეუღლე პაოლას, შვილებს, ჩიროს, დარიოს, ალესანდრას, სელვაჯასა და მთელ ოჯახს ვუსამძიმრებთ და გვერდში ვუდგავართ“ — ნათქვამია „სიენას“ ოფიციალურ განცხადებაში.



ამ სამწუხარო ფაქტის გამო სერია A-ს ყველა მატჩი წუთიერი დუმილით დაიწყო.

სიენელებმა „რეჯინასთან“ შავი სამკლავურებით ითამაშეს, ვალერიო ბერტოტის ერთადერთი გოლით მოიგეს და ეს მნიშვნელოვანი გამარჯვება, ცხადია, პაოლო დე ლუკას ხსოვნას მიუძღვნეს.

„ძალიან გვინდოდა ამ გამარჯვების მოპოვება, რომელსაც პრეზიდენტ დე ლუკას ხსოვნას ვუძღვნით. ვუსამძიმრებთ მთელ მის ოჯახს“ — აღნიშნა ბერტოტომ.

„სიენა“ სწორედ დე ლუკას ხელში აღზევდა პირველად სერია A-ში — 2003 წელს. მაშინ ტოსკანელებს ამჟამად „ლეჩეს“ მწვრთნელი ჯუზეპე პაპადოპულო თავკაცობდა.

„მასთან და მის ოჯახთან ბრწყინვალე მოგონებები მაკავშირებს. ერთად კარგი წლები გავატარეთ. პრობლემებიც გვქონდა, მაგრამ დე ლუკა ყოველთვის პატივს მცემდა და შეურაცხყოფა არასდროს მოუყენებია“ — თქვა პაპადოპულომ.

**გიორგი ძაძამაძე**

# აღარ მინდა თქვენთან რომანი



## კრესპო აბრამოვიჩს გაურბის

**ერნან კრესპომ** საჯაროდ სთხოვა ლონდონის „ჩელსის“ მფლობელ რომან აბრამოვიჩს, „ინტერში“ დარჩენის და კარიერის იქ დასრულების ნება დართოს. საქმე ისაა, რომ მიმდინარე სეზონის ბოლოს კრესპოს იჯარის ვადა გასდის, მას კი ინგლისში დაბრუნება არ უნდა. არგენტინელს არაერთხელ უთქვამს, იტალია ჩემი მეორე სამშობლოა, იქ თავს ბრწყინვალედ ვგრძნობ და სერია A-ში მინდა თამაშიო.

„აქ დარჩენა და მთელი კარიერის „ინტერში“ გატარება რომ შემომთავაზონ, კონტრაქტს დაუფიქრებლად მოვაწერ ხელს. „ნეროაძურის“ ჩემი შენარჩუნება უნდა, მაგრამ ახლა ყველაფერი რომან აბრამოვიჩზეა დამოკიდებული. თუ იგი მე და მასიმო მორატის მოუსმენს, ყველანი ერთად შეთანხმების მიღწევას შევძლებთ...

...შარშან ზაფხულს აბრამოვიჩმა „ინტერში“ გადასვლის ნება მომცა და გამაბედნიერა. მისი გულისხმიერების ამჯერადაც მეიმედება. იმედია, შეთანხმებას შევძლებთ. რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე „ჩელსისთვის“ და ახლა „ინტერში“ დარჩენა მინდა“ — განაცხადა კრესპომ.

**ძოძი ძანდელაძი**

## დანია

### სუპერლიგა. XXI ტური

ჰორსენსი — კოპენჰაგენი 1:3; მიდტიულანდი — ესბიერგი 3:1; ნორდსიელანდი — ვიბორგი 4:1; სილკებორგი — რანდერსი 0:0; ოდენსე — ოლბორგი 1:1; ბრონდბიუ — ვაილე 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 21 | 14 | 6 | 1 | 39:14 | 48 |
| მიდტიულანდი | 21 | 12 | 6 | 3 | 41:23 | 42 |
| ოდენსე | 21 | 11 | 6 | 4 | 28:19 | 39 |
| ოლბორგი | 21 | 10 | 5 | 6 | 28:20 | 35 |
| ნორდსიელანდი | 21 | 10 | 4 | 7 | 40:24 | 34 |
| ბრონდბიუ | 21 | 8 | 7 | 6 | 31:22 | 31 |
| ესბიერგი | 21 | 7 | 6 | 8 | 33:34 | 27 |
| რანდერსი | 21 | 7 | 6 | 8 | 26:27 | 27 |
| ვიბორგი | 21 | 6 | 4 | 11 | 22:40 | 22 |
| ჰორსენსი | 21 | 4 | 7 | 10 | 15:31 | 19 |
| სილკებორგი | 21 | 3 | 3 | 15 | 18:38 | 12 |
| ვაილე | 21 | 2 | 4 | 15 | 21:50 | 10 |

### I დივიზიონი. XVI ტური

ფკ ორჰუსი — ნესტვედი 0:0; ჰელერუპი — ფრედერისია 1:1; ფრემი — სიონდერისკე 0:0; იოლსტიკე — ლიუნგბიუ 0:1; აკადემისკი — ჰერფიოლგე 2:4; ორჰუსი — ფრემადი 4:1; კიოგე — ტისტედი 2:3; კოლდინგი — ბრაბრანდი 1:0

## სლოვაკეთი

### I ლიგა. პლეი ოფი. IV ტური

სლოვანი — ნიტრა 2:0; კოშიცე — არტმედია 0:3; ჟილინა — სენეცი 4:0; რუჟომბეროკი — ბანსკა ბისტრიცა 2:0

## საბერძნეთი

### სუპერლიგა. XXVII ტური

*ყველა მატჩი გადაიდო*

## რუსეთი

### პრემიერლიგა. III ტური

**ზენიტი 1:3 სპარტაკი**

0:1 ტიტოვი (2), 0:2 შტრანცლი (24), 0:3 ბისტროვი (37), 1:3 პოგრებნიაკი (85)

**ტომი 1:1 სატურნი**

0:1 ვუკჩევიჩი (54), 1:1 ვეჟიჩი (82)

**ამკარი 1:1 დინამო**

0:1 კოლოდინი (63პ), 1:1 ბელორუკოვი (65)

**ცსკა 2:0 ლოკომოტივი**

1:0 რამონი (2), 2:0 ვაგნერ ლავი (82)

**კრილია 0:0 მოსკვა**

**რუბინი 2:1 ხიმკი**

0:1 ანტიპენკო (45), 1:1 ნარდე (56), 2:1 გაცკანი (89)

**ლუჩ-ენერგია 1:1 როსტოვი**

1:0 ბ. აჯინჯალი (36პ), 1:1 დანცევი (90)

**ყუბანი 2:2 ნალჩიკი**

1:0 ორეხოვი (20), 1:1 რიკარდო (29), 2:1 იანბაევი (41), 2:2 რიკარდო (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| სპარტაკი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| მოსკვა | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| ამკარი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| კრილია | 3 | 1 | 2 | 0 | 1:0 | 5 |
| ტომი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ლუჩ-ენერგია | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ზენიტი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| ხიმკი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| რუბინი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| ყუბანი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| დინამო | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| სატურნი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ნალჩიკი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| როსტოვი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:7 | 1 |

## სლოვენია

### პირველი ლიგა. XXIV ტური

დომჟალე — პრიმორიე 1:1; პუბლიკუმი — ნაფტა 0:1; მარიბორი — კოპერი 0:0; ნოვა გორიცა — დრავა 2:1; ბელა კრაინა — ფაქტორი 2:2

## პოლონეთი

### პირველი ლიგა. XIX ტური

კრაკოვია — [illegible] 3:0; ოდრა — ბელხატოვი 1:0; პოგონი — პლოცკი 1:2; [illegible] 2:[illegible] ზაგლებე — გროცლინი 2:1; კორონა — ვისლა 0:0; ლეგია — ლოძი 2:1. არკა — ლეჩნა გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელხატოვი | 19 | 12 | 3 | 4 | 43:19 | 39 |
| ზაგლებე | 19 | 11 | 6 | 2 | 29:18 | 39 |
| კორონა | 19 | 10 | 4 | 5 | 26:18 | 34 |
| ვისლა | 19 | 7 | 10 | 2 | 32:15 | 31 |
| ლეგია | 19 | 9 | 4 | 6 | 32:21 | 31 |
| ლოძი | 19 | 8 | 7 | 4 | 22:17 | 31 |
| კრაკოვია | 19 | 8 | 4 | 7 | 26:29 | 28 |
| ლეხი | 19 | 6 | 7 | 6 | 33:27 | 25 |
| გროცლინი | 19 | 4 | 12 | 3 | 20:18 | 24 |
| არკა | 18 | 4 | 10 | 4 | 22:19 | 22 |
| ვიძევი | 19 | 5 | 5 | 9 | 18:25 | 20 |
| ლეჩნა | 18 | 4 | 5 | 9 | 12:35 | 17 |
| გურნიკი | 19 | 4 | 4 | 11 | 21:33 | 16 |
| ოდრა | 19 | 3 | 7 | 9 | 15:29 | 16 |
| პოგონი | 19 | 3 | 6 | 10 | 15:24 | 15 |
| პლოცკი | 19 | 2 | 8 | 9 | 14:33 | 14 |

## რუმინეთი

### პირველი ლიგა. XXIV ტური

ჩაპლაული — ნაციონალი 1:1; გლორია — არადი 1:0; ოცელური — პეტროლხანი 2:1; პოლიტეხნიკა — უნივერსიტატია 1:1; დინამო — ვასლუი 0:0; უნირია — პანდურიი 1:0; კლუჟი — ტიმიშოარა 2:1; რაპიდი — სტიაუა 2:3; ფარული — არჯეში 1:1

## სერბეთი

### სუპერლიგა. XXII ტური

ჰაიდუკი — ბანატი 2:1; სარტიდი — ოფკ 2:1; ვოზდოვაცი — ბეჟანიჯა 0:1; ზემუნი — ვოივოდინა 1:4; ბორაცი — პარტიზანი 0:1; ცრვენა ზვეზდა — მლადოსტი 2:0

## იაპონია

### ჯეი ლიგა. IV ტური

ნიიგატა — კავაზაკი 2:0; ივატა — იჩიჰარა 1:0; კოფუ — გამბა 1:2; ომია — შიმიცუ 1:2; ჰიროშიმა — იოკოჰამა 1:3; კაშივა — ტოკიო 2:0; კობე — კაშიმა 1:1; ფკ იოკოჰამა — ნაგოია 1:2; ოიტა — ურავა 2:2

## ირლანდია

### პრემიერლიგა IV ტური

კორკი — ლონგფორდი 2:0; სენტ პატრიკსი — ბრეი 3:1; უოტერფორდი — ბოჰემიანსი 0:1; დროჰედა — დერი 2:1; შემროკი — გალვეი 1:0; სლიგო — დუბლინი 1:0

## უკრაინა

### ვიშა ლიგა. XX ტური

ტავრია — სტალი 2:1; ზარია — ჩერნომორეცი 0:4; არსენალი — დნეპრო 1:1; ილიჩევეცი — შახტარი 1:1; ვორსკლა — ხარკოვი 0:1; კრივბასი — მეტალურგი (ზ) 1:1; მეტალისტი — დინამო 0:2. *მეტალურგი (დ) — კარპატი დღეს გაიმართება*

## ავსტრია

### ბუნდესლიგა. XXVI ტური

ტიროლი — მატერსბურგი 1:3; რაპიდი — ზალცბურგი 2:2; რიდი — გრაცერი 3:1; შტურმი — პაშინგი 2:1; ალტახი — აუსტრია 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 26 | 16 | 7 | 3 | 53:16 | 55 |
| მატერსბურგი | 26 | 12 | 5 | 9 | 37:40 | 41 |
| რიდი | 26 | 8 | 11 | 7 | 31:27 | 35 |
| პაშინგი | 26 | 9 | 8 | 9 | 28:27 | 35 |
| აუსტრია | 26 | 8 | 10 | 8 | 29:29 | 34 |
| რაპიდი | 26 | 8 | 9 | 9 | 34:36 | 33 |
| ტიროლი | 26 | 7 | 9 | 10 | 27:38 | 30 |
| ალტახი | 26 | 8 | 3 | 15 | 34:46 | 27 |
| შტურმი | 26 | 10 | 5 | 11 | 28:31 | 22 |
| გრაცერი | 26 | 6 | 9 | 11 | 32:43 | -1 |

*შტურმს დაკლებული აქვს 13 ქულა*

*გრაცერს დაკლებული აქვს 28 ქულა*

### I დივიზიონი. XXIIII ტური

ადმირა — პარნდორფი 1:1; ლუსტენაუ — გრატკორნი 2:0; ჰარტბერგი — აუსტრია (ლ) 2:1; კაპფენბერგი — აუსტრია (მ) 1:0; კერნტენი — ლეობენი 1:1; შვანენშტადტი — ლინცერი 1:5

# ესეც ასე: მეასე!

## მაკაიმ შალკე ისტორიაში შეიყვანა



„იუბილარი" როი მაკაი თანაგუნდელთა ალყაში

AFP

## გერმანია

### ბუნდესლიგა XXVII ტური

**ბაიერნი 2:0 შალკე**

1:0 მაკაი (3), 2:0 სალიჰამიჯიჩი (78)
ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო (დემიკელისი 85), ვან ბუიტენი, ლამი, ოტლი, სალიჰამიჯიჩი, ვან ბომელი, შვაინშტაიგერი (ლელი 87), მაკაი (კ. პიზარო 71), პოდოლსკი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, პანდერი, ფ. ერნსტი, ბაირამოვიჩი (იოზილი 65), ქობიაშვილი, ჰალილ ალტინტოპი (ასამოა 74), ლოვენკრანდსი (ლარსენი 36), კურანი
მწვრთნელი: მირკო სლომკა
გაფრთხილება: სანიოლი, კრსტაიჩი, კანი, ერნსტი, რაფინია
მსაჯი: ფანდელი
69 000 მაყურებელი

**კოტბუსი 0:0 ვერდერი**

კოტბუსი: პიპლიცა, და სილვა, მაკკენა, ი. მიტრესკი, ცვიტანოვიჩი, ტ. როსტი, კუკიელკა, ბაუმგარტი (ბანდროვსკი 82), მუნტიანუ, რადუ (გუნკელი 64), კიოიო (შაო 64)
მწვრთნელი: პეტრიკ სანდერი
ვერდერი: ვიზე, კ. ფრიცი, მერტესაკერი, ნალდო, ვომე, ფრინგსი, ვრანიეში (უგო ალმეიდა 73), დ. იენსენი, დიეგო, კლოზე (როზენბერგი 80), ჰუნტი
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: როსტი, ფრიცი, მიტრესკი, მაკკენა, და სილვა
მსაჯი: კირხერი
20 344 მაყურებელი

**შტუტგარტი 3:1 ალემანია**

1:0 შტრელერი (29), 1:1 სიხონე (59), 2:1 ლაუტი (75), 3:1 კაკაუ (84)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ოსორიო, ფ. მეირა, მანინი, ბოკა (ბეკი 86), პარდო, ჰილბერტი (ა. ფარნერუდი 70), ჰიცლშპერგერი, ხედირა, კაკაუ, შტრელერი (ლაუტი 70)
მწვრთნელი: არმინ ფეე
ალემანია: შტრაუბი, შტელე, კლიცპერა, სიხონე, ლეივაკაბესი, მ. ლემანი (ჰაიდრიხი 88), ს. პინტო (დუმი 75), რეგეკამპფი (იოზგენი 88), როსლერი, შლაუდრაფი, იბიშევიჩი
მწვრთნელი: მიხაელ ფრონცეკი
გაფრთხილება: ბოკა, სიხონე, იბიშევიჩი
მსაჯი: მერკი
43 000 მაყურებელი

**მაინცი 1:3 ლევერკუზენი**

0:1, 0:2 ბარბარესი (42, 45), 0:3 შნაიდერი (52), 1:3 ზიდანი (75)
მაინცი: ვახე, დემირტასი, მ. ფრიდრიხი, ნოვესკი, როზე, ფ. გერბერი (პეკოვიჩი 70), ლ. ანდრეასენი, აზაუაგი (საბიჩი 57), ფიულნერი, ზიდანი, რუმანი (იოვანოვიჩი 32)
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
ლევერკუზენი: რ. ადლერი, შვეგლერი, კალსენ-ბრაკერი, ჟუანი, ბაბიჩი, როლფსი, ბ. შნაიდერი (მადუნი 90), ბარბარესი, ფრაიერი, ბარნეტა, კისლინგი (ვორონინი 81)
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
გაფრთხილება: ვახე, ბარბარესი, გერბერი, ბაბიჩი
მსაჯი: შიპელი
20 300 მაყურებელი

**ნიურნბერგი 2:1 ჰერტა**

1:0 გალაშეკი (4), 2:0 ენგელჰარდტი (60), 2:1 ხიმენესი (69)
ნიურნბერგი: რ. შეფერი, დ. რაინჰარდტი (სპირანოვიჩი 27), ა. ვოლფი, ბუჩამპი, პინოლა, გალაშეკი, ენგელჰარდტი, გრეშკო (პაგენბურგი 82), პოლაკი (კრისტიანსენი 76), შროტი, საენკო
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
ჰერტა: ფიდლერი, ჩაჰედი, ვან ბურიკი, შიმუნიჩი, ჟილბერტო, დარდაი, ებერტი, ბაშთურქი, კ. ბოატენგი (დეჯაგა 67), პანტელიჩი (ედე 59), კ. ხიმენესი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
გაფრთხილება: გალაშეკი, ვან ბურიკი, სპირანოვიჩი, ვოლფი
მსაჯი: რაფატი
44 000 მაყურებელი

**არმინია 1:0 დორტმუნდი**

1:0 კამპერი (80)
არმინია: ჰაინი, კორჟინეცი, ვესტერმანი, კუჩერა, შულერი, კაუფი, ზუმა (აიგლერი 68), ტესკე (ტ. მარქსი 68), ბიომე, დ. კობილიკი (კამპერი 79), ვიშნიარეკი
მწვრთნელი: ერნსტ მიდენდორპი
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ფ. დეგენი, ვიორნსი, კ. მეცელდერი, დედე, ტინგა, კრუშკა (რიკენი 75), კრინგე (საკა 88), ნ. ვალდესი, ნ. საჰინი (ამოა 85), ფრაი
მწვრთნელი: თომას დოლი
მსაჯი: გაგელმანი
26 601 მაყურებელი

**ბოხუმი 2:0 ჰანოვერი**

1:0 გეკასი (35), 2:0 ეპალე (42)
ბოხუმი: დრობნი, ო. შრიოდერი, მალტრიცი, იაია (ბუტჩერი 78), მაიხელბეკი (პ. ბიონიგი 27), ცდებელი (დრშეკი 60), დაბროვსკი, მისომოვიჩი, გროტე, ეპალე, გეკასი
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, ვინისიუსი, ფარენჰორსტი, ტარნატი, ბალიტჩი, ლალა, შრიოტერი (იენდრიშეკი 69), როზენტალი (ბრუგინკი 63), ჰუშტი (ჰაშემიანი 46), შტაინერი
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
გაფრთხილება: ცდებელი, ტარნატი, გროტე, მალტრიცი, დრშეკი
მსაჯი: ფლაიშერი
24 177 მაყურებელი

**ჰამბურგი 1:0 ვოლფსბურგი**

1:0 მაჰდავიკია (60)
ჰამბურგი: ფ. როსტი, ბენჯამინი, ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, ატუბა, იაროლიმი (აბელი 90), დე იონგი, მაჰდავიკია, ბენ ჰატირა (ლაასი 81), ვან დერ ვაარტი (ტროხოვსკი 77), სანოგო
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
ვოლფსბურგი: იენჩი, შარპეი, მადლუნგი, ჰოფლანდი, ვან დერ ჰიდენი, სანტანა, ვან დერ ლეიგტე, მაკიადი (ბოაკიე 46), კრჟინოვეკი (მენსეგეში 63), მარსელინიო, კლიმოვიჩი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: მაჰდავიკია, მადლუნგი, იაროლიმი, ჰოფლანდი, ვან დერ ლეიგტე
მსაჯი: პერლი
57 000 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 1:1 აინტრახტი**

0:1 კირიაკოსი (11), 1:1 ინსუა (89)
მიონხენგლადბახი: კელერი, კირხი, გოჰური, ზე ანტონიო, იანსენი, ელ ფაკირი (კაჰე 84), კლუგე, კომპერი (მარინი 63), ინსუა, ლამიდი (ნოიველი 68), რაფაელი
მწვრთნელი: იოს ლუჰუკაი
აინტრახტი: ნიკოლოვი, პ. ოხსი, ვასოსკი, კირიაკოსი, შპიხერი, კრისი, მ. ფინკი, პროისი, ა. შტრაიტი (რუსი 86), ტაკაჰარა (რემერი 89), ტურკი (მ. ჰელერი 61)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: კლუგე, კრისი, ზე ანტონიო, კირიაკოსი, ნიკოლოვი, ელ ფაკირი, ფინკი, რაფაელი, კაჰე, კირიაკოსი
გაძევება: კირიაკოსი (86)
მსაჯი: კინჰოფერი
52 177 მაყურებელი

მე-100 გოლი შეაგდო როი მაკაიმ „ბაიერნის" მაისურით, მისმა გუნდმა კი ლიდერ „შალკეს" მოუგო და კვლავ ჩაერთო საჩემპიონო ბრძოლაში. თან „ბაიერნმა" კარგი განწყობა შეიქმნა „მილანთან" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩის წინ.

„გამარჯვება დავიმსახურეთ, რადგან მეტოქეზე ბევრი მომენტი გვქონდა და უფრო დიდი სხვაობითაც შეგვეძლო მოგება — თქვა ოტმარ ჰიცფელდმა — დაცვამ საუცხოოდ ითამაშა. მე-20 წუთიდან ბურთი უმეტესად „შალკეს" ჰქონდა, მაგრამ მეორე ტაიმში უპირატესობა ისევ მივიპოვეთ და უმაღლესი კლასის ფეხბურთი ვაჩვენეთ, რაც „მილანთან" მატჩისთვის თავდაჯერებულობას შეგვმატებს".

„პირველ ტაიმში ჩემი გუნდი არ ვარგოდა. სწრაფმა გოლმა გეგმები აგვირია, არადა, ამ მატჩიდან ქულას ველოდი. „ბაიერნმა" აშკარად გვაჯობა და სამი ქულაც ეკუთვნოდა" — განაცხადა მირკო სლომკამ.

მაკაიმ მარკ ვან ბომელისგან მიიღო პასი და ათი მეტრიდან გაუტანა პეტერ ნოიერს, რომელმაც არაერთხელ იხსნა „შალკე".

შეხვედრის ბოლოს კი მარჯვენა ფლანგზე გათამაშებული კომბინაცია ჰასან სალიჰამიჯიჩმა დაასრულა — მეკარის ბაქნის კუთხიდან შეაგდო.

„შალკეს" მარცხით ვერ ისარგებლა „ვერდერმა" და „კოტბუსთან" მხოლოდ ქულას დასჯერდა, არადა, მოგების შემთხვევაში პირველ ადგილზე გადავიდოდა. კოტბუსელებს თავისი სადარდებელი აქვთ — ლიგაში დასარჩენად იბრძვიან და ბრემენელ „მუსიკოსებს" დაცვაში მაგრად დაუდგნენ. ხშირად ჯარიმდებოდნენ და შეტევებს შლიდნენ.

მე-17 წუთზე დიეგომ საჯარიმო შეასრულა, მეკარემ ბურთი მოიგერია, ჰუნტმა კი დამატებაზე გაიტანა, მაგრამ არ ჩაუთვალეს — თამაშგარე იყო.

საუკეთესო მომენტი „ვერდერს" 71-ე წუთზე ჰქონდა — კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს პერ მერტესაკერმა დაჰკრა თავი და ბურთი ხარიხას მოხვდა.

ზედიზედ ოთხმატჩმოუგებელმა „შტუტგარტმა" ლიდერების წიბორძიკებით ისარგებლა, „ალემანია" დაამარცხა და ორეულს მიუახლოვდა.

მასპინძლებმა ანგარიში კუთხურის შედეგად გახსნეს — მარკო შტრელერმა თავურით შეაგდო.

მეორე ტაიმი „ალემანიამ" უკეთესად დაიწყო და სამ წუთში იბიშევიჩმა ვერ გამოიყენა მომენტი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ სიხონემ გაათანაბრა — რეგეკამპფის პასს თავი საგოლედ დაუხვედრა.

„შტუტგარტის" მწვრთნელმა არმინ ფეემ შეტევის გასაძლიერებლად ბენჯამინ ლაუტი შეუშვა, რომელმაც უმალ დაუფასა მწვრთნელს და საჯარიმოში მარცხნიდან შესულმა გაიტანა.

„ალემანიამ" კვლავ გაიწია გასათანაბრებლად, მაგრამ კონტრიერიშზე გამოიჭირეს და კაკაუმ წერტილი დასვა.

ბოლო შვიდ ტურში მეექვსე მარცხი იგემა ბერლინის „ჰერტამ". გუნდი აშკარად დაღმა მიდის მეორე წრეში. ამჯერად „ნიურნბერგთან" წააგო, რომელიც, თავის მხრივ, კარგ ფორმაშია და უეფას თასის საგზურს ეპოტინება.

მასპინძლები მეოთხე წუთზე ტომაშ გალაშეკმა დააწინაურა საჯარიმოს ხაზიდან დარტყმით. მთელი ტაიმის განმავლობაში „ნიურნბერგი" აშკარად სჯობნიდა მეტოქეს, „ჰერტამ" კი სახეირო ვერაფერი შექმნა.

მეორე ნახევრის დასაწყისში ბერლინელები მიეძალნენ მასპინძელთა კარს, თუმც გოლი საკუთარ კარში მიიღეს პოლ დარდაის შეცდომის გამო, რომელმაც ბურთი ენგელჰარდტს ჩააბარა და მასაც არ გასჭირვებია ახლოდან გატანა.

ამის მერე კი გამოცოცხლდა „ჰერტა" და კრისტიან ხიმენესმა ერთი გაქვითა.

ბოლოს ორჯერ შეეძლოთ სტუმრებს გატანა, მაგრამ „ნიურნბერგის" მეკარემ იხსნა გუნდი.

თომას დოლი ჯერჯერობით ვერ შველის „დორტმუნდს", რომელიც ორი კვირის წინ ჩაიბარა. „შავყვითლები" „არმინიასთან" პრინციპულ მატჩში დამარცხდნენ და ქვედა სამეულში აღმოჩნდნენ...

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შალკე | 27 | 16 | 5 | 6 | 42:27 | 53 |
| ვერდერი | 27 | 15 | 6 | 6 | 61:33 | 51 |
| შტუტგარტი | 27 | 14 | 7 | 6 | 46:31 | 49 |
| ბაიერნი | 27 | 14 | 5 | 8 | 41:31 | 47 |
| ლევერკუზენი | 27 | 12 | 6 | 9 | 43:37 | 42 |
| ნიურნბერგი | 27 | 9 | 14 | 4 | 38:25 | 41 |
| ჰანოვერი | 27 | 9 | 8 | 10 | 33:39 | 35 |
| ჰერტა | 27 | 9 | 7 | 11 | 37:44 | 34 |
| ალემანია | 27 | 9 | 6 | 12 | 42:48 | 33 |
| ჰამბურგი | 27 | 6 | 14 | 7 | 30:27 | 32 |
| ვოლფსბურგი | 27 | 7 | 11 | 9 | 27:30 | 32 |
| კოტბუსი | 27 | 8 | 8 | 11 | 29:36 | 32 |
| აინტრახტი | 27 | 6 | 13 | 8 | 34:45 | 31 |
| ბოხუმი | 27 | 8 | 6 | 13 | 32:42 | 30 |
| მაინცი | 27 | 7 | 9 | 11 | 24:40 | 30 |
| არმინია | 27 | 7 | 8 | 12 | 32:36 | 29 |
| დორტმუნდი | 27 | 7 | 8 | 12 | 29:38 | 29 |
| გლადბახი | 27 | 6 | 7 | 14 | 22:33 | 25 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| გეკასი (ბოხუმი) | 14 |
| გომესი (შტუტგარტი) | 13 |
| მაკაი (ბაიერნი) | 13 |
| კლოზე (ვერდერი) | [illegible] |
| კურანი (შალკე) | 11 |
| ფრაი (დორტმუნდი) | 11 |
| პანტელიჩი (ჰერტა) | 11 |

### XXVIII ტური

7 აპრილი

| | |
|---|---|
| შალკე | გლადბახი |
| ვოლფსბურგი | მაინცი |
| ჰერტა | არმინია |
| ლევერკუზენი | ბოხუმი |
| აინტრახტი | კოტბუსი |
| ჰანოვერი | ბაიერნი |
| ალემანია | დორტმუნდი |
| ვერდერი | ნიურნბერგი |
| ჰამბურგი | შტუტგარტი |

### მეორე ბუნდესლიგა

XXVII ტური

ბურგჰაუზენი — უნტერჰახინგი 4:1; კარლ ცაისი — ჰანზა 1:2; პადერბორნი — კარლსრუე 1:2; კიოლნი — კობლენცი 3:1; აუგსბურგი — აუე 3:0; ბრაუნშვაიგი — ფრაიბურგი 0:2; ოფენბახი — ფიურტი 1:2; ესენი — მიუნხენი 0:2. კაიზერსლაუტერნი — დუისბურგი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარლსრუე | 27 | 17 | 6 | 4 | 58:31 | 57 |
| ჰანზა | 27 | 13 | 12 | 2 | 40:22 | 51 |
| ფიურტი | 27 | 13 | 6 | 8 | 44:30 | 45 |
| ფრაიბურგი | 27 | 12 | 9 | 6 | 41:33 | 45 |
| დუისბურგი | 26 | 11 | 10 | 5 | 47:33 | 43 |
| ლაუტერნი | 26 | 11 | 10 | 5 | 35:24 | 43 |
| აუგსბურგი | 27 | 11 | 9 | 7 | 34:23 | 42 |
| აუე | 27 | 13 | 3 | 11 | 40:38 | 42 |
| კიოლნი | 27 | 10 | 8 | 9 | 40:37 | 38 |
| მიუნხენი | 27 | 11 | 5 | 11 | 37:39 | 38 |
| პადერბორნი | 27 | 8 | 9 | 10 | 26:28 | 33 |
| კობლენცი | 27 | 8 | 8 | 11 | 28:36 | 32 |
| ოფენბახი | 27 | 8 | 6 | 13 | 34:43 | 30 |
| კარლ ცაისი | 27 | 6 | 8 | 13 | 28:46 | 26 |
| ბურგჰაუზენი | 27 | 6 | 8 | 13 | 33:53 | 26 |
| ესენი | 27 | 6 | 7 | 14 | 29:35 | 25 |
| უნტერჰახინგი | 27 | 6 | 7 | 14 | 25:40 | 25 |
| ბრაუნშვაიგი | 27 | 3 | 7 | 17 | 12:40 | 16 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

XXVIII ტური

დორტმუნდი (მ) — დინამო 2:3; ლევერკუზენი (მ) — კილი 4:0; ჰერტა (მ) — ოსნაბრიუკი 1:3; ემდენი — ჰამბურგი (მ) 2:0; უნიონი — ალენი 1:1; ვერდერი (მ) — დიუსელდორფი 2:0; ვილჰელმშავენი — მიონხენგლადბახი (მ) 1:2; ვუპერტალი — მაგდებურგი 1:3; ლიუბეკი — ერფურტი 0:2

### სამხრეთ რეგიონალლიგა

გადადებული მატჩი

პფულენდორფი 1:0 ვეჰენი

# იტალია
## სერია A
### XXX ტური

**რომა 1:1 მილანი**
1:0 მექსეში (4), 1:1 ჯილარდინო (62)
რომა: ა. დონი, კასეტი, მექსეში, კოვუ, პანუჩი, დე როსი, დ. პიზარო, ვილჰელმსონი (პეროტა 67), ტადეი, მანსინი (ტავანო 85), ტოტი (ვუჩინიჩი 83)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, შიმიჩი, ფავალი, ბროკი, პირლო, ზეედორფი (გურკუფი 73), კაკა, რონალდო (გატუზო 79), რ. ოლივეირა (ჯილარდინო 46)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ფავალი, კაფუ, კასეტი, კოვუ, პიზარო
მსაჯი: მესინა
55 000 მაყურებელი

**ინტერი 2:0 პარმა**
1:0 მაქსველი (55), 2:0 კრესპო (70)
ინტერი: ტოლდო, მაიკონი, ბურდისო, მატერაცი, მაქსველი (დაკური 69), კამბიასო, ხ. ძანეტი, სტანკოვიჩი, ფიგუ (რეკობა 69), ადრიანო, კრესპო (მ. გონსალესი 79)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
პარმა: ბუჩი, პაჩი (ბოკეტი 85), კოუტუ, კონტინი, ფერონეტი, პარავიჩინი, დესენა, გასბარონი, კასტელინი (ბოლანო 73), ბუდანი (მორფეო 72), როსი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: პაჩი, დესენა, ადრიანო, მატერაცი, მორფეო
მსაჯი: ფარინა
65 000 მაყურებელი

**უდინეზე 2:4 ლაციო**
0:1 სტენდარდო (18), 0:2 მაური (50), 0:3 ბეჰრამი (51), 1:3 დი ნატალე (58პ), 1:4 როკი (59პ), 2:4 იაკინტა (90)
უდინეზე: დე სანქტისი, ზაპოტოჩნი (ობოდო 75), კოდა, საპატა, დე მარტინო (სიკეირა 66), შივოკი (იაკინტა 63), გ. დაგოსტინო, მუნტარი, დოსენა, პ. ბარეტო, დი ნატალე
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
ლაციო: პერუცი, ბელერი, სტენდარდო (დიაკიტე 89), სივილია, ძაური, ბეჰრამი, ლედესმა, კ. მანფრედინი, მაური, როკი, პანდევი
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: დი ნატალე, დოსენა, ბელერი, დე მარტინო, ლედესმა
გაძევება: დაგოსტინო (81)
მსაჯი: პაპარესტა
15 000 მაყურებელი

**ტორინო 0:0 პალერმო**
ტორინო: აბიატი, კომოტო, ბრევი, ბოვო, ბალესტრი, გალო, არდიტო, როზინა, მუცი (სტელონე 59), ლაზეტიჩი (ბარონე 77), აბრუსკატო (კონანი 71)
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
პალერმო: ა. ფონტანა, ძაკარდო, ბარძალი, ბიავა (კასანი 57), მ. პიზანო, დიანა, კიარამიტარო (ჯაკომაცი 90), სიმპლისიო, ბრეშიანო, დი მიკელე (ბრიენცა 73), კარაჩოლო
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: ბრევი, ძაკარდო, ბიავა, სიმპლისიო
მსაჯი: რიცოლი
30 000 მაყურებელი

**ემპოლი 4:1 ასკოლი**
1:0 პოცი (44), 1:1 სონჩინი (50), 2:1, 3:1 საუდატი (53, 71), 4:1 პოცი (74)
ემპოლი: ბალი, რაჯი (ადანი 68), პრატალი, ლუკინი, ტოსტო, ბუშე, ალმირონი (დ. მორო 78), მარიანინი, ვანუკი, საუდატი (მატეინი 73), პოცი
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
ასკოლი: ელეფთეროპულოსი, ნასტაზე, კორალო, მელარა, ვასტოლა (ბონანი 56), ფოლიო, ბუდიანსკი, პესკე (მ. დელვეკიო 62), ფინი, პაოლუჩი, სონჩინი
მწვრთნელი: ნედო სონეტი
გაფრთხილება: კორალო, პესკე, ტოსტო, ... ნანი
გაძევება: დელვეკიო (67)
მსაჯი: ტალიავენტო
15 000 მაყურებელი

**ატალანტა 2:2 ფიორენტინა**
0:1 რეგინალდო (27), 0:2 პაცინი (32პ), 1:2 ლორია (39), 2:2 დონი (65პ)
ატალანტა: კალდერონი, რივალტა, ტალამონტი, ლორია, ბელინი, არიატი, ბერნარდინი (აბეიხონი 84), დონატი, ტისონე (ვენტოლა 46), ბომბარდინი (კ. დონი 46), ძამპანა
მწვრთნელი: სტეფანო კოლანტუონო
ფიორენტინა: ფრეი, პოტენცა, გამბერინი, კროლდრუპი, პასკუალი, ბლაზი (პაზიენცა 59), ლივერანი, მონტოლივო, რეგინალდო (სანტანა 59), პაცინი (ტონი 67), იორგენსენი
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: ბლაზი, ლორია, ვენტოლა, პასკუალი
მსაჯი: როზეტი
18 000 მაყურებელი

**კიევო 1:1 სამპდორია**
0:1 კალიარელა (27), 1:1 ბრიგი (77)
კიევო: სკიცი, მალაგო, მანდელი, დანა, ლანა, სამარკო, იტალიანო, ბრიგი (სეზარ პრატესი 78), კოსოვსკი (ლუსიანო 56), ბოგდანი (ობინა 61), პელისიერი
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
სამპდორია: ბერტი, მაჯო, სალა, აკარდი, კ. ძენონი, ვოლპი (ჯ. დელვეკიო 73), კალიარელა, პალომბო, პაროლა, დ. ფრანჩესკინი (ციგლერი 65), ბაცანი (რ. ოლივერა 74)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: პაროლა
მსაჯი: აიროლდი
10 000 მაყურებელი

**კალიარი 2:0 მესინა**
1:0 ბიონდინი (12), 2:0 ბუდელი (24)
კალიარი: ფორტინი, ფერი, დ. ლოპესი, ბიანკო, დელ გროსო (აგოსტინი 78), ბიონდინი (მარკინი 73), კონტი, ბუდელი, პეპე, კაპონე (ა. დაგოსტინო 20), სუაზო
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
მესინა: პაოლეტი, რეა (ჯალლომბარდო 46), ზორო კპოლო, ძანკი, ლავეკია (დე ვეცე 70), ე. ალვარესი, კანდელა, პესტრინი, მაზიელო, ფლორჩარი (ილიევი 40), რიგანო
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
გაფრთხილება: დელ გროსო, ზორო კპოლო, ძანკი, ზორო კპოლო, მაზიელო
გაძევება: ზორო კპოლო (75)
